# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 16 აპრილი 1998 №56 (591) ფასი 40 თეთრი

## მესამე მატჩის ფანტასტიკური ფინალი

გოგა ალექსიშვილის ფოტო



აზოტი — სდასუ. ჩხეიძე (12) რუსთაველ გოგობერიშვილს ჩაგდებას არ ანებებს

## ვითა უკვე ფინალშია
## გამარჯვება ბოლო წამზე

საქართველოს მე-7 ჩემპიონატი.
პლეი ოფი. ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩები.
სპორტის სასახლე. 15 აპრილი

## აზოტი 2:1 სდასუ
## ვითა 3:0 დინამო

**სდასუ — აზოტი 83:81 (35:26)**

**სდასუ:** ჩერქეზიშვილი (10), ჩხეიძე (4), სანაძე (35), ნაცვლიშვილი (14), ოთიურიძე (9); აბულაძე (3), მუშკუდიანი (8), ტაბატაძე

**აზოტი:** გაბისონია (10), წიკლაური, გოგობერიშვილი (16), ბოისა (19); ჯაფარიძე (27), კიკვიძე (3), ბერუაშვილი (6)

**მსაჯები:** ბერეკაშვილი, აბაშიძე

ჩვენს გამოჩენილ ფალავანს, ლევან თედიაშვილს, დაუმარცხებელი მოჭიდავის სახელი რომ დაიგდო, საერთაშორისო ასპარეზზე ბოლო შეხვედრის წაგებისას უცხოელმა ჟურნალისტმა ჰკითხა, ახლა ვინმე თუ დარჩა წაუგებელიო. მამაჩემიო — უპასუხა ლევანმა. როგორ, მამათქვენი ჭიდაობდაო? — გაუკვირდა ჟურნალისტს. რომ არ უჭიდავია, იმიტომაც არ წაუგიაო.

იხილეთ მეხუთე გვერდი

## შენგელია — სამუდამოდ

გუშინ ისევ გაიმართა კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, ისევ იმსჯელეს „ვითა"-„დინამოს" მატჩში მომხდარ ინციდენტზე. დამნაშავე დინამოელებს პირვანდელი სასჯელი გაცილებით მკაცრით შეუცვალეს — კახა შენგელიას სამუდამოდ აეკრძალა თამაში საქართველოს ჩემპიონატსა და საქართველოს ნაკრების მატჩებში, ირაკლი ხოშტარიას კი 1998-99 სეზონის ბოლომდე, ამასთან თბილისის „დინამოს" ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა.

**ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი**
საპასუხო მატჩები. 15 აპრილი

### მონაკო 3:2 იუვენტუსი

**მონაკო:** ბარტეზი, მარტინი, კრისტანვალი, დიავარა, ლეონარდი (სანიოლი 64), ჯეტუ, ბენარბია, კოლინზი, იკპება (სპეჰარი 70), ტრეზეგე, ანრი

**იუვენტუსი:** პერუცი, ტორიჩელი, ბირინდელი, იულიანო, დიმაში, კონტე, ტაკინარდი, ზიდანი (პეკია 60), პესოტო, დელ პიერო, ინძაგი (ამორუზო 6, დევიდსი 72)

0:1 ამორუზო (14), 1:1 ლეონარდი (38), 1:2 ანრი (50), 2:2 დელ პიერო (74), 2:3 სპეჰარი (83)

### დორტმუნდი 0:0 რეალი

**დორტმუნდი:** კლოსი, ბინცი, როიტერი, ფაიერზინგერი, კრეე (ცორკი 12), ტანკო (დეშეივერი 70), ჰაინრიხი, ბუტი, მიოლერი, რიკენი (ტიმი 75), შაპუიზა

**რეალი:** ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანსი, პანუჩი, რედონდო, კარემბუ, ამავისკა, ზეედორფი (ხოსე მარი 87), რაული (ხაიმე 75), მორიენტესი (ვიქტორი 89)

...1981 წლის გაზაფხული. ჩემპიონთა თასის ფინალი. ლეგენდარული „ლივერპული" მადრიდის „რეალს" ამარცხებს და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო თასს ეუფლება, სამეფო გუნდი კი კვლავ უთასოდ რჩება. 1966 წლის შემდგომ „რეალი", რომელსაც ყველაზე მეტჯერ ექვსჯერ მოუგია ევროპის ჩემპიონთა თასი, მუდამ ხელმოცარული რჩება, ხან ფინალში, ხანაც სხვა ეტაპზე.

ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდისთვის გუშინდლამდე თასის მოპოვებაზე, რომ არაფერი ვთქვათ, 17 წელი ფინალში გასვლა იყო მიუწვდომელი, თუმცა დადგა დრო და „რეალი" ფინალშია.

გუშინ დორტმუნდელები ძალიანაც ცდილობდნენ მეტოქის კარის საჭირო რაოდენობით დალაშქვრას, ერთხელ შეაგდეს კიდეც, მაგრამ თანამსაჯის ალამი ალმართული გახლდათ — არჩათვლილი გოლი და უშედეგოდ დასრულებულ შეტევები. აი ის, რაც დორტმუნდის „ვესტფალენ შტადიონზე" მასპინძელთა თამაშს ახასიათებდა.

და „იუვენტუსი" ევროთასების ფინალებში ერთმანეთს არასდროს დაპირისპირებიან. მათი ბოლო შეხვედრა ასევე ჩემპიონთა ლიგაში მოხდა — 1995-96 წლების სეზონში, ლიგის მეოთხედფინალში „იუვენტუსმა" ორი მატჩის ჯამში 2:1 სძლია „რეალი".

სხვათა შორის, ამსტერდამმა ჩემპიონთა თასის ფინალს ბოლოს 1962 წელს უმასპინძლა. მაშინ „ბენფიკამ" 5:3 დაამარცხა „რეალი".

## ამსტერდამისკენ

თავის მხრივ, „რეალიც" არ გამოირჩეოდა ბრწყინვალე თამაშით — სტუმრებმა დორტმუნდელთა დარად ერთი გაიტანეს. აქაც თამაშგარე.

მეორე ტაიმი პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა, თუმცა შესვენების შემდგომი თამაში უფრო დამაინტრიგებელი იყო.

ბევრი რომ გავაგრძელოთ, „დორტმუნდი", ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული, გათამაშებას გამოეთიშა, „რეალმა" კი ფინალს უწია. რა შანსები აქვს სამეფო კლუბს, რათა მეშვიდეთ მოიგოს თასი? თუ ტურინელთა გუშინდელი თამაშით ვიმსჯელებთ, „რეალის" შანსები საკმაოდ დიდია, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ შინ 4:1 გამარჯვების შემდეგ „იუვენტუსისთვის" საპასუხო მატჩს ფაქტიურად აზრი ჰქონდა დაკარგული.

...20 მაისს „ამსტერდამ არენა" გაიჭედება — ჩემპიონთა ლიგის ფინალში ევროპული გრანდები იპაექრებენ. „რეალი"



მონაკო — იუვენტუსი. ამჯერად ბარტეზმა ოთხის ნაცვლად მხოლოდ ორი გოლი გაუშვა

*რუსული გუნდი, საერთოდაც, ყოფილი საბჭოური კლუბი, უეფას თასის ნახევარფინალში პირველად თამაშობდა და ფინალთანაც ასე ახლოს პირველად იყო. „სპარტაკმა" „ინტერს" საშინელი დებიუტი შესთავაზა, მაგრამ ორი გოლის გამტანმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა*

## რონალდომ რუსებს იმედი მოუკლა

ბადრი კეთილაძის ფოტო



ბადრი კეთილაძის მოსკოვური ფოტოები იხილეთ მესამე გვერდზე

# საქართველოს თასის ნახევარფინალი

თბილისი
ეროვნული
14 აპრილი

**დინამო 1:2 დილა**

**დინამო:** გ. ჭანტურია, ქემოკლიძე, ჯელაძე (გუჩუა 46), დიდავა, ცქიტიშვილი, პეტრიაშვილი (წიტაიშვილი 41), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი (ლ. ბურდული 65)
**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, შატაკიშვილი (ბ. ჩიტაია 75), ციცქიშვილი (წკრიალაშვილი 58), მარლიშვილი (მარჟაშვილი 80), ხორგუაშვილი, გ. ჩიტაია
1:0 მუჯირი (7), 1:1 მარლიშვილი (23), 1:2 შატაკიშვილი (38)
ხომერიკმა ვერ გაიტანა პენალტი (50)
**გაფრთხილება:** რევაზიშვილი, ჯელაძე, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, ბ. ჩიტაია
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

## ნელა ჭადრაკს თამაშობენ

„ჯერაც არ მჯერა. „დილამ“ „დინამოს“ მოუგო და გადამწყვეტი გოლი მე გავიტანე. თავი ახლაც სიზმარში მგონია“ — ეს სიტყვები გორელთა 18 წლის ნახევარმცველს, ქრისტეფორე შატაკიშვილს ეკუთვნის, რომელმაც თამაშის 38-ე წუთზე დაწყებული შეტევა თავადვე დაასრულა გოლით. ქიტიამ ჯერ ერთი მცველი მოატყუა, ბურთი გაექცა, მეორე მოწინააღმდეგეს ვარდნაში წაართვა და გელა ჭანტურიას მარჯვენა დაბალ კუთხეში დაურტყა. მრავლისმნახველმა ვეტერანმა მეკარემ „დინამო“ ვერ იხსნა.

სტუმრები კი დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოოდ თუ გაიმარჯვებდნენ, არავის ეგონა. ყველა მათ განადგურებას ელოდა. წარმატებისა არც თავად გორელებს სჯეროდათ. უბრალოდ, ისინი ბოლომდე თავგანწირვით იბრძოდნენ და ბედმაც გაუღიმათ.

„დილამ“ ეროვნულ სტადიონზე გააკეთა ის, რასაც ჩვენი ჩემპიონატის ლიდერები ვერ ახერხებენ — „დინამოს“ სრულიად უშიშრად და მოურიდებლად დაუპირისპირდა. გუშინწინ სტუმრებს გასახდელში არ წაუგიათ მატჩი, როგორც ეს სხვებს ემართებათ. მათ მინდორზე მოიგეს თამაში.

„დინამო“ მსგავსს არ ელოდა. დასაწყისში, როცა მუჯირმა თავისი საფირმო დარტყმით დააწინაურა გუნდი, იოლად, დიდი ანგარიშით გამარჯვებისთვის განეწყვნენ. სტუმრებმა კი მათ ხისტი, მჭიდრო თამაში დაუპირისპირეს, რასაც თბილისელები ვერაფრით გუობენ. ე ბიჭო, ნელა — თითქმის ყველა ძალისმიერი ორთაბრძოლისას, ყველა ვარდნის შემდეგ გაიძახიან დინამოელები. ნელა კი მხოლოდ ჭადრაკს თამაშობენ. ფეხბურთელს ფეხი მოგვხვდება, ამისთვის მზად უნდა იყო. ევროთასებზეც იმიტომ ვაგებთ კატასტროფული ანგარიშებით, კაცურად ბრძოლას რომ არ ვართ ჩვეულნი.

ხომერიკს რომ პენალტი გაეტანა, გორელები ხან ხარიხას, ხანაც ძელებს და მეკარეს არ გადაერჩინა, ვნახავდით, ვინ გაიმარჯვებდაო, თქვეს დინამოელთა ქომაგებმა. რომ არ გაგვეშვა, რომ გაგვეტანა, რომ არა „ლევერკუზენი“, „ბრაგა“ და მისთანები, მაშინ ჩემპიონთა თასის თუ არა, უეფას თასის ფინალში გვეყოლებოდა ჩვენი „დინამო“. ოქმში საბოლოო ანგარიში ფიქსირდება და არა ის, ვინ რამდენჯერ დაარტყა კარში.

არა, გუშინწინ „დინამო“ საშინლად გამოიყურებოდა. არეული დაცვა, მოუწესრიგებელი შუა ხაზი, გაჩერებული ფლანგები. ფეხბურთს მხოლოდ სამნი — მუჯირი, აშვეთია და პირველი ტაიმის ბოლოს გამოჩენილი წიტაიშვილი თამაშობდნენ. მასპინძელთა დაცვა ხორგუაშვილის განეიტრალებას მოუნდა. ვერც ეს მოახერხა და მარლიშვილსაც გაეხსნა ხელ-ფეხი — იგი პარტნიორის ჩაწოდებულს საჯარიმოში დაელოდა და როცა დაბნეულ ჯელაძეს თავზე გადაატარა ბურთი, აუღელვებლად გაიტანა.

დინამოელები რეალურ საგოლე მომენტებს ვერ იყენებდნენ. ამას ვინ ჩივის, უკვე მერამდენედ ვერ გაუტანიათ თერთმეტმეტრიანი. ძლიერ დასუსტებულა „დინამო“.

რა მოხდება გორში? ძნელი სათქმელია. „დილა“ საშინაო თამაშებს მუდამ ძლიერად ატარებს. მათ სტიმულიც არ აკლიათ, თასის ფინალში გადიან. ყველაფერს მაყურებელთა მხარდაჭერაც მიემატება — თბილისელებს გორში სავსე სტადიონი დახვდებათ.

და მაინც, უმეტესობას ჰგონია, რომ „დინამო“ განმეორებით შეხვედრას ორი ბურთის სხვაობით მოიგებს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. უკან არც გორელები დაიხევენ და მეტად საინტერესო მატჩი გველის.

გუშინწინ კი „დილას“ დღე იყო და შილაკაძის საფინალო სასტვენის შემდეგ მიეცათ კიდეც სიხარულის გამოხატვის საშუალება. გორიდან ჩამოსული გულშემატკივრები გასასვლელთან შეიკრიბნენ და კარგა ხანი გაიძახოდნენ, „დილა“!, „დილა“!-ო.

ბათუმი
„დინამო“
14 აპრილი

**ბათუმი 1:0 თსუ**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ქიქვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, ლეონტი (აფხაზავა 75)
**თსუ:** გ. დოლიძე, ლ. ყოლბაია, ვერემჩუკი, კობიაშვილი, კვიტატიანი, შალამბერიძე, გემაზაშვილი, მაზიაშვილი (გ. ქორიძე 59), რუსია, ჯ. მელქაძე, როსტიაშვილი
1:0 კანტიძე (53)
**გაფრთხილება:** ქიქვეიშვილი, რუსია, ვერემჩუკი, ყოლბაია
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)



ხომერიკმა ვერც აჭერად ივარგა და ვერც თერთმეტმეტრიანი დარტყმისას

## 22 ტური

### მოვლენა

**რუსთავი 1:1 მერანი**

ჩემპიონატის ფინიში ახლოვდება. ამ დროს ჩვენს ფეხბურთში ბევრი რამ ხდება. ლიდერები და აუტსაიდერები თავთავისას ცდილობენ. ყველაფერს უკულმართს ახლა უნდა ველოდოთ. განსაკუთრებით ჩაწყობილი მატჩები მატულობს. „რუსთავი“ ერთ-ერთი აუტსაიდერი კი არის, მაგრამ იმედი ჯერ არ გადაწურვია და უძლიერესთა შორის დასარჩენად ყველა ღონეს ხმარობს. „მერანს“ მშვიდი ცხოვრება გარანტირებული აქვს, ამიტომ თავისუფლად შეიძლებოდა, გასაჭირში მყოფი თანამოძმისთვის ხელი გაემართა. ვერც ვერავინ შეედავებოდა და დაუმტკიცებდა რამეს. ავჭალელებმა სპორტული პრინციპი დაიცვეს და „რუსთავს“ ფრე აკმარეს. ეს ჩემპიონატში ყველასთვის მისაბაძი მაგალითი და თავისთავად სასიამოვნო მოვლენაა.

### სკანდალი

**სამგურალი 0:0 კოლხეთი**

იმერლებისთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. ერთი ფეხით გასავარდნ ზონაში დგანან, ხოლო მეორეთი დარჩენას ლამობენ. „კოლხეთი“ მეორე საფეხურიდან „ბათუმის“ ჩამოქვეითებას ცდილობს და ამათ შორის დიდი ბრძოლა რომ ატყდებოდა, რა ძნელი მისახვედრი ეგ იყო. გამარჯვების შემთხვევაში „სამგურალი“ თავის საქმესაც იკეთებდა და მეზობელ „ტორპედოსაც“ ძლიერ ახეირებდა. „ტორპედო“ ახეირა, თავად დიდად ვერა. მინდორს გარეთაც მოჩხუბარი ორი გაძევებული და მასპინძელთა კარში დაუნიშნავი პენალტი. სკანდალიც მეტი რაღაა?

### მოულოდნელობა

**დილა 3:0 ოდიში**

არა, ზუგდიდელთა მარცხი სხვა დროს არ გაგვიკვირდებოდა. „ოდიშს“ გორიდან ქულა არასდროს წაუღია. საერთოდ, მეგრელებს ქართლში ყოველთვის უჭირთ, მაგრამ მოულოდნელი იყო ოდიშელთა უსახური, უჯიგრო თამაში. გუნდი ლამის ევროპაში უნდა გაიჭრას, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე სურს, გორში კი ჭანტურია ვერც ერთხელ შეაწუხეს. ისიც უნდა ითქვას, როცა ბევრმა ანგარიში შეიტყო, დიდად გაიკვირვა, როგორ, ეს თამაში „ოდიშს“ უნდა მოეგო და პირიქით რატომ მოხდაო. ეტყობა, ამათ სხვა რამ იცოდნენ, დარწმუნებულებიც იყვნენ, მაგრამ მოტყუვდნენ.

### გმირი

**გელა ინალიშვილი**

ბოლო ხანს უთამაშებელი, აწ უკვე ყოფილი თბილისის დინამოელი და ეროვნული ნაკრების წევრი, ბოლოს რუსეთის „კრილია სოვეტოვში“ ირჯებოდა. წარუმატებელი სეზონის შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, რუსთაველებიც დააინტერესა, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა. უქმად მყოფს კი „კოლხეთი“ შეეხმიანა. „სამგურალთანაც“ ათამაშა და, ვფიქრობთ, არაფერი წაუგია. გელა ორივე გუნდში საუკეთესო იყო, მომენტს მომენტზე ქმნიდა, თუმცა უშედეგოდ. მისი წაქცევისთვის თითქმის ასპროცენტიანად დასანიშნი პენალტი კი მსაჯმა გუნთაძემ არაფრად ჩააგდო.

### ანტიგმირი

**ოთარ გუნთაძე**

„სამგურალ“ — „კოლხეთის“ მატჩზე ფეხბურთის ფედერაციამ მსაჯთა კვალიფიცირებული ბრიგადა მიავლინა. აკი ამბობდნენ კიდეც, პრინციპული თამაშია და იქნებ სკანდალი თავიდან ავიცილოთო. ვერაფერმა გაჭრა. იმასაც ამბობენ, არბიტრ გუნთაძეზე მატჩის დაწყებამდე ზეწოლას ჰქონდა ადგილი და მუქარასაცო. გუნთაძემაც შიშის ქვეშ მყოფმა იმსაჯა. პირველი ტაიმიც ხანგრძლივი შეჩერების მიუხედავად სუფთა დროში დაამთავრა, ინალიშვილის წაქცევისთვის პენალტის დანიშვნისას მოსალოდნელი თავდასხმა თავიდან აიცილა. მატჩი რომ „კოლხეთს“ მოეგო, გუნთაძე, ალბათ, ცოცხალი აღარ იქნებოდა. და მაინც, არბიტრის ღირსება ხომ ობიექტურობაა.

## ფეხბურთის რუკასთან



**დანიის** ჩემპიონატის 24-ე ტური: ორჰუსი — ფრემადი 1:1, კოპენჰაგენი — ვეილე 4:1, ერფოლგე — სილკებორგი 0:4, იკასტი — AB 1:1, ლუნგბიუ — ბრონდბიუ 0:2, ოდენსე — ოლბორგი 0:1. „ბრონდბიუ“ 56 ქულით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. მეორე-მესამე ადგილზე მყოფ სილკებორგსა და კოპენჰაგენს კი მხოლოდ ქულა აშორებთ.

**ჩინეთის** ჩემპიონი „დალიან უანდა“ აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ ათი ათასი დოლარით დააჯარიმა, რადგან კონტინენტის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში ძლეულმა ჩინელებმა ოდენ ფინალისტისთვის განკუთვნილ მედლებზე უარი თქვეს. „დალიან უანდამ“ გადამწყვეტი მატჩი კორეის „ფუჰენგ სტილერსთან“ დათმო პენალტების სერიაში 5:6.

**რუსეთის** თასის მეოთხედფინალში ვოლგოგრადის „როტორმა“ დამატებით დროში 5:3 დაამარცხა დედაქალაქის ცსკა. გამარჯვებულთაგან სამი გოლი ოლეგ ვერეტენნიკოვმა შეაგდო. ნახევარფინალში „როტორი“ უეფას თასის გათამაშებიდან გავარდნილ „სპარტაკს“ დაუპირისპირდება.

**პარაგვაის** ფეხბურთში დიდი არეულობაა. რამდენიმე ხნის წინ ჩემპიონატში მონაწილე ერთ-ერთმა გუნდმა იუარა ორი ფეხბურთელის გასხვისება, როცა მათ კლუბთან კონტრაქტი გასრულებული ჰქონდათ. ძალადობამ შედეგი არ გამოიღო, პირიქით, უფლებაშელახულ ფეხბურთელებს სხვა კლუბელებიც გვერდში დაუდგნენ და გაფიცვაც დაიწყო. თავდაპირველად პროტესტის აქცია ოთხშაბათს ერთი კვირა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მოთამაშეთა პრეტენზიები სერიოზული აღმოჩნდა, რის გამოც გამოცხადდა, რომ პარაგვაის პირველობა კიდევ ერთი თვე ვერ განახლდებოდა. ქვეყნის საფეხბურთო ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრეს კოლმენმა განაცხადა, კრიზისი ცუდის მეტს არას მოგვიტანს, დროა, ხელები დავიკაპიწოთ და საქმეს ყველამ ერთად მივხედოთო. საგანგებო სხდომა მოთამაშეთა უფლებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე რამდენიმე დღეში გაიმართება.

**ბულგარელმა** თავდამსხმელმა ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელიც დროებით საუდის არაბეთის „ალ ნასრში“ თამაშობს, უკვე მოასწრო კონტინენტის თასების თასის მოგება. სწორედ მისი გადამწყვეტი გოლით დაამარცხა „ალ ნასრიმ“ ფინალში გასული „სამსუნგ სუვონი“ და თასი კიდევ ერთი წლით დატოვა საუდის არაბეთში. შარშან ამ გათამაშებაში „ალ ჰილალმა“ იმარჯვა.

**სლოვაკეთის** ჩემპიონმა „კოშიცემ“ მწვრთნელი დაითხოვა, უფრო სწორად კი გუნდის თავკაცი კარლ პეშე თავისი ნება-სურვილით წავიდა გუნდიდან. კლუბს პეშეს წასვლის თაობაზე არაფერი განუცხადებია და, მომხდარი კვლავაც ბურუსითაა მოცული. მწვრთნელის თანამდებობას დროებით იან კოზაკი, პეშეს თანაშემწე დაიკავებს. ახალი თავკაცი კი უახლოეს დღეებში დასახელდება.

**გერმანიის** ჩემპიონი მეჰმეთ შოლი, რომლის შესანიშნავი თამაშის წყალობითაც მიუნხენის „ბაიერნმა“ ბუნდესლიგის ლიდერ „კაიზერსლაუტერნთან“ სხვაობის საგრძნობი შემცირება შეძლო, საეჭვოა მორიგ ტურში კლუბს დაეხმაროს. ბოლო შეხვედრაში, თანაქალაქელ „მიუნხენ 1860“-თან მოგებულ მატჩში შოლმა კოჭი დაიშავა და მთელი ეს დღეები მის მკურნალობას უნდებოდა. ხვალ მეჰმეთი ხელახალ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რომელზეც საბოლოოდ დაადგენენ, როდის დაუბრუნდება ფეხბურთს ნახევარმცველი. შოლი ნიგერიელებთან ამხანაგურად სათამაშოდ ნაკრებშიცაა მიწვეული, მაგრამ იგი ალბათ, მომავალ შეხვედრაში გერმანიის ღირსებას ვერ დაიცავს.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის 30-ე ტურის მატჩში არნემის „ვიტესმა“ ჩუროვიჩის, პეროვიჩის და ექსაიაქსელ მარტინ რობერის გოლების წყალობით 3:1 დაამარცხა „მაასტრიხტი“. სტუმართა ერთადერთი გოლის გატანა ლენდზაატმა მოახერხა.

**იუგოსლავიის** ახალგაზრდული გუნდის წევრი მილან ლესნიაკი გუშინდლიდან ბელგიის ჩემპიონატის ლიდერ „ბრიუგეს“ ფეხბურთელი გახდა. 20 წლის ლესნიაკში ბელგიელებმა ფეხბურთელის კლუბს, ბელგრადის „ობილიჩს“, 3,3 მილიონი დოლარი გადაუხადეს. იუგოსლავიური გუნდის პრეზიდენტმა ზელიკო რაზნატიევიჩმა მასმედიას განუცხადა, ყმაწვილის გაყიდვა აუცილებლობას წარმოადგენდა, იგი იუგოსლავიის საფეხბურთო ლიგაში მეტად ვერ გაიზრდებოდაო.

**უკრაინის** პირველობის მე-20 ტური: დინამო — დნეპრი 2:1, შახტიორი — პრიკარპატიე 4:1, ვორსკლა — კარპატი 0:0, ნივა — ჩერნომორეცი 1:0, ტავრია — ნიბასი 1:0, მეტალურგი (ზაპოროჟიე) — მეტალურგი (დონეცკი) 1:0, კრივბასი — ტორპედო 3:1, მეტალურგი (მარიუპოლი) — ცსკა 2:1. გათამაშებას 47 ქულით შახტიორი ლიდერობს. ორი თამაშით და ოთხი ქულით ნაკლები აქვს დინამოს, მესამე კი დნეპრია 40 ქულით.

**ინგლისის** ჩემპიონატის ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“, ეტყობა, ძალიან სურს, გადაიბიროს „ეინდჰოვენის“ მცველი იააპ სტამი. ჰოლანდიის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელში ეინდჰოვენელებმა 25 მილიონი დოლარი მოითხოვეს, ინგლისის ჩემპიონებმა კი შესთავაზეს, 10 მილიონ დოლარს გადავიხდით, დამატებით ჯორდი კრუიფსაც დაგითმობთო. დაყაბულდება თუ არა „ეინდჰოვენი“ მანჩესტერელთა პრეზიდენტის მარტინ ედვარდსის წინადადებას, ძნელი სათქმელია, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ თავად სტამს პრემიერლიგაში თამაში გულით სწადია.

**ირლანდიის** ჩემპიონატის 29-ე ტურის მატჩები: კორკი — დუბლინი 1:2, დერი სიტი — დანდალკი 0:0, დროგჰედ იუნაიტედი — შემროკ როვერსი 0:1, კილნენ სიტი — ფინ ჰარპსი 2:2, შელბურნი — სლიგო როვერსი 2:0, სენტ პატრიკი — ბოჰემიანსი 0:2. 58 ქულით ჩემპიონატის ლიდერია „შელბურნი“. მეორეზე მყოფ „სენტ პატრიკს“ ორი ქულით ნაკლები აქვს, 51 ქულით კი მესამე „შემროკ როვერსია“.

**გერმანიის** ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი გუნდის „ბოხუმის“ მეკარე უვე გოსპოდარეკი მომავალ სეზონში „კაიზერსლაუტერნში“ გაირჯება. ბუნდესლიგის ლიდერ „კაიზერსლაუტერნის“ პრეზიდენტმა ჰუბერტ კესლერმა განაცხადა, გოსპოდარეკის ჩვენთან გადმოსვლაზე ბოხუმელ კოლეგებს უკვე ვესაუბრე, დავითანხმე კიდეც, კონტრაქტს ოფიციალურად უახლოეს დღეებში გავაფორმებო. გოსპოდარეკი, რომელმაც 1995 წელს მიუნხენის „ბაიერნი“ თავისი ნება-სურვილით დატოვა, „კაიზერსლაუტერნში“ ვეტერან მეკარე ანდრეას რინკეს შეცვლის.

**სლოვაკეთის** პირველობაზე 22-ე ტური: ჰუმენი — სპარტაკი 1:3, კოშიცე — რუჟომბეროკი 1:1, ტრენჩინი — ზილინა 1:0, დუკლა — სტრედა 2:1, პეტრიმექსი — ტატრანი 1:1, ტაურისი — ინტერი 0:1, სლოვანი — ლოკომოტივი 3:0, არტმედია — ბარდეხოვი 2:0. ჩემპიონატს 50-50 ქულით ტრნავის „სპარტაკი“ და „კოშიცე“ ლიდერობენ, მესამე ადგილზე მყოფი ბრატისლავის ინტერი წინ გაჭრილთ რვა ქულით ჩამორჩება.

**ბრაზილიელმა** ჟოზე კლეიტონმა რამდენიმე დღის წინ ტუნისის მოქალაქეობა მიიღო და შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატზე ტუნისელთა ღირსება დაიცვას. კლეიტონი აგერ უკვე ხუთი წელია „ეტოილ დუ საელის“ მოთამაშეა და სწორედ ტუნისის გუნდში გატარებულმა ხუთმა წელიწადმა მისცა საშუალება ქვეყნის მოქალაქე გამხდარიყო. ტუნისის ნაკრების მწვრთნელმა ანრი კასპერჩაკმა განაცხადა, 6 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების განაცხადების შეტანა მთავრდება, იქამდე კლეიტონის ნაკრებში შეყვანაზე ვიმსჯელებთ, ისე კი გეტყვით, მას გუნდში თამაშის დიდი შანსი აქვსო.

**გერმანიის** 1995 და 1996 წლების ჩემპიონატის მომგები დორტმუნდის „ბორუსიას“ ყოფილმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა, თუ „ბაიერნის“ გაწვრთნა გადავწყვიტე, უახლოეს დღეებში ოთხწლიან კონტრაქტს გავაფორმებო. მანვე ისიც დასძინა, „ბარსელონაც“ მიწვევდა და მადრიდის „რეალიც“, მაგრამ სამშობლოში ყოფნას არაფერი მჯობსო.

UEFA CUP

# იტალიური საქმის გარჩევა პრინცების პარკში

## უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

**ბოლო ცხრა წელიწადში უეფას თასი მეოთხედ უმასპინძლებს იტალიურ ფინალს. 1990 წელს „იუვენტუსმა" ორი შეხვედრის ჯამში 3:1 აჯობა „ფიორენტინას", 1991 წელს „ინტერმა" „რომას" ჯამური 2:1 მოუგო, 1995 წელს „პარმამ" ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „იუვენტუსი". წლეულს, 6 მაისს, პარიზის „პარკ დე პრენსზე" „ინტერი" „ლაციოს" დაუპირისპირდება. ჯამური ანგარიშები ისტორიას ჩაბარდა, უეფას თასის მფლობელი ჩემპიონთა და თასების თასის მსგავსად ერთ შეხვედრაში გაირკვევა.**

**ბოლო 10 წელიწადში უეფას თასის ფინალი იტალიური გუნდის გარეშე ერთადერთხელ გაიმართა, 1996 წელს, „ბაიერნი" — „ბორდო".**

**„ინტერი" 90-იან წლებში მეოთხედაა უეფას თასის ფინალში. 1991 და 1994 წლებში მილანის გუნდმა ჯილდო მოიპოვა, 1997 წელს კი გერმანულ „შალკესთან" დამარცხდა პენალტებით.**

**„ლაციო" ევროთასის ფინალში პირველადაა.**



რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია — ამბობს „ინტერის" მწვრთნელი ლუიჯი სიმონი და მას ჯუზეპე ბერგომიც (მარცხნივ) ეთანხმება

ბადრი კეთილაძის ფოტო

### სპარტაკი 1:2 ინტერი

**სპარტაკი: ფილიმონოვი, გორლუკოვიჩი, ხლესტოვი, რომაშჩენკო, ანანკო, იევსეევი (ბუზნიკინი 75), ციმბალარი, ალეინიჩევი, ტიტოვი, ტიხონოვი, რობსონი**

**ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, სარტორი, ვესტი, მორიერო (ფრეზი 64), სიმეონე, კოუ, ძანეტი, რონალდო (რეკობა 84), სამორანო (კანუ 79)**

**1:0 ტიხონოვი (12), 1:1, 1:2 რონალდო (45, 76)**

თოვდა, ციოდა, „სარბიელის" თხლადჩაცმული ფოტოკორესპონდენტი ბადრი კეთილაძე ძაგძაგებდა, „დინამოს" სტადიონის საფარი ლაფად იყო ქცეული, მაგრამ კომისარმა და მსაჯმა სასტარტო სასტვენამდე საათნახევრით ადრე მატჩის ჩატარება ბრძანეს.

დავანებოთ თავი იმას, უნდა იმართებოდეს თუ არა ლაფში უეფას თასის ნახევარფინალი და ის ამბავი მოვყვეთ, როგორ ჩავიდა საათნახევრის დაგვიანებით „ინტერი" რუსეთის დედაქალაქში. თვითმფრინავის დაგვიანების მიზეზი გაძლიერებული თოვა გახლდათ, ასზე მეტი ფანისა და 50 ჟურნალისტის აეროპორტში ლოდინის მიზეზი კი რონალდო, რომელსაც საბაჟოდან ავტობუსამდე ორი მილიციელი აცილებდა, მაგრამ 50-მეტრიანი გზის გავლას გვარიანი დრო დასჭირდა, რადგან ვარსკვლავს ყოველ ნაბიჯზე გაჩერება და გულშემატკივრებთან ფოტოს გადაღება უხდებოდა.

ავდრის მიუხედავად, ბევრმა მოსკოველმა შაბათი ღამე სტადიონის სალაროებთან გაათენა, რადგან კვირას ბილეთების გაყიდვა იწყებოდა. ცხადია, ყველა ბილეთი კვირასვე გაიყიდა.

რონალდო მეორედ ჩავიდა მოსკოვში. პირველად 1996 წლის სექტემბერში იყო, როდესაც რუსეთისა და ბრაზილიის ნაკრებებმა ამხანაგურ შეხვედრაში 2:2 ითამაშეს.

ტარიბო ვესტმა პირველად ნახა თოვლი.

ანდრეი ტიხონოვმა მე-12 წუთზე ანგარიში გახსნა.

დასაწყისი „სპარტაკისთვის" მეტად ხელსაყრელი გახლდათ. შეტევა, მომენტები, გოლი... ტიხონოვის ზუსტმა დარტყმამ ორი შეხვედრის ჯამური ანგარიში 2:2 გახადა. მოსკოველებს ამ ანგარიშის შენარჩუნება რომ მოეხერხებინათ, სტუმრად ფინალში გავიდოდნენ, გატანილი გოლის წყალობით. მაგრამ ბურთმა იხტუნა, იხტუნა და პირველი ტაიმის დამთავრებამდე წამებით ადრე მასპინძელთა კარში მოძებნა ადგილი.

ვინც „ინტერს" არ იცნობს, ალბათ იღბალზე დაიწყებს ლაპარაკს, მაგრამ ისინი, ვისაც მილანელთა თამაშისთვის ადრეც მიუდევნებია თვალი, ეტყვიან, რომ ის რაც უამრავჯერ მეორდება, იღბალი კი არა, სტილია. „ინტერი" არ განეკუთვნება იმ გუნდებს, მოსაგებათ აუცილებლად დიდ სათამაშო უპირატესობას რომ ეუფლებიან. მას შეუძლია ათიდან შვიდ შეხვედრაში თანაბარი თამაშისას, ერთი ზუსტად შესრულებული დარტყმით გაიმარჯვოს. ნურც იმას წარმოიდგენთ, რომ ეს დარტყმა აუცილებლად ეფექტური იქნება, უფრო სავარაუდოა, რომ ეს იქნება საჯარიმოში ჭიდაობით მოპოვებული ბურთის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შეგორება მოწინააღმდეგის კარში.

არის მეორე გზაც, „ინტერისთვის" მეტად დამახასიათებელი და თვალისთვის სასიამოვნო. ესაა დრიბლინგი, რომელიც გოლით მთავრდება. ისე როგორ მოხდება, რონალდო, ძანეტი, სიმეონე, ჯორკაეფი (რომელსაც მოსკოვში არ უთამაშია) ან რომელიმე სხვა, თამაშში ერთხელ მაინც არ დაუსხლტეს მეურვეებს.

მოკლედ ის, რაც მოსკოვში მოხდა, ძალიან ინტერისეულია. ერთი გოლი, პირველი, საჯარიმოში მოგებული ბრძოლის, აქეთ-იქით მოხტუნავე ბურთის ხელში ჩაგდებისა და ზუსტი დარტყმის შედეგი გახლდათ, მეორე — შედეგიანი დრიბლინგი.

— რონალდომ დაამტკიცა, რომ მართლაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ინტერის" მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ — „სპარტაკმა" კარგად დაიწყო, ჩვენ კი კარგად დავამთავრეთ.

მოსკოველთა თავკაცმა ოლეგ რომანცევმა ყველაფერი ფსიქოლოგიური ფაქტორით ახსნა:

— ანგარიში რომ გავხსენით, ჩემს მოთამაშეთაგან რამდენიმე შეკრთა. მათ არ სჯეროდათ, რომ ასეთი დიდი გუნდის დამარცხება შეეძლოთ. ვთვლი, რომ მილანელები ფინალში გასვლას იმსახურებდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვიმსახურებდით წაგებას. ალბათ, პირველი ტაიმის მიწურულს გაშვებულმა გოლმაც გაგვტეხა.

### ლაციო 0:0 ატლეტიკო

**ლაციო: მარკეჯანი, ფავალი, ნეგრო, ნესტა, გრანდონი, გოტარდი, ფუზერი, ვენტურინი, ნედვედი, მანჩინი, ბოკშიჩი (კაზირაგი 75)**

**ატლეტიკო: მოლინა, დიასი (პაუნოვიჩი 77), პროდანი, ხელი, აგილერა, ლარდინი (ხოსე მარი 55), პანტიჩი (ნიმნი 89), ბეიბლი, ვისკაინო, კიკო, ვიერი**

— დიდი ბრძოლა იყო. ვიცოდი, გაგვიჭირდებოდა. დაცვაში მართლაც ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ თავდასხმაში გაგვიჭირდა. მიუხედავად ამისა უმთავრესი ის გახლდათ, რომ ფინალში გავედით. ამას დიდ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან რომ წაგვეგო საქმეები უთუოდ დაღმა წაგვივიდოდა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ნესტას საუცხოო თამაში. წარმომიდგენია პარიზში მისი და რონალდოს ორთაბრძოლა რა სანახავი იქნება. უცნაურია, უეფას თასზეც და იტალიაშიც ფინალი მილანის გუნდებთან გვიწევს — თქვა მატჩის შემდეგ „ლაციოს" შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა.

„ატლეტიკოს" გოლი სჭირდებოდა. მე-13 წუთზე იუგოსლაველმა გამთამაშებელმა მილინკო პანტიჩმა ისე ჩააწოდა, რომ მასპინძელთა გოლკიპერი ლუკა მარკეჯანი ბურთს ვერ მისწვდა, მაგრამ ჩეხმა რადეკ ბეიბლმა, რომელსაც პაოლო ნეგრო ავიწროვებდა, მიზანს ააცილა.

26-ე წუთზე სტუმრებმა კიდევ ერთხელ შეაშინეს მასპინძლები. პანტიჩის ჩაწოდებული ბურთი შორეულ ძელთან კრისტიან ვიერის ფეხზე „აჯდებოდა", მაგრამ გუერინო გოტარდიმ ბოლო წამს გაუკრა და ვითარება განმუხტა.

მიუხედავად ამ ორი ჩხვლეტისა, ნახევარდაცვაში უპირატესობას „ლაციო" ფლობდა. 35-ე წუთზე აქეთა ჩეხმა, პაველ ნედვედმა ჯარიმა დაარტყა ლონივრად, ბურთი მეკარე მოლინამ უკუაგდო, მაგრამ მის ბადეში შესაგდებად ბოკშიჩს სიმკვირცხლე დააკლდა.

„ატლეტიკო" რომაელთა დაცვას კომბინაციური თამაშით დიდად ვერ ჯაბნიდა, ამიტომაც 43-ე წუთზე პანტიჩმა 35 მეტრიდან სცადა ბედი, მაგრამ ოდნავ ააცილა. ტაიმთა გასაყარზე მასპინძელმა დიეგო ფუზერმაც მოიწადინა გოლის გატანა. მისი დარტყმული გარედან მოხვდა ბადეს.

შესვენებისას მადრიდელების მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა მოედანზე დამატებითი თავდამსხმელის გაყვანა გადაწყვიტა — ლარდინი ხოსე მარით შეცვალა. დაიწყო მეორე ნახევარი და ცვლილებამ მომენტი მოიტანა: კრისტიან ვიერიმ მეურვეს, ალესანდრო ნესტას აჯობა და მარცხენა მხარეს ხოსე მარის შეუქმნა დიდებული საგოლე მდგომარეობა. ამ თავდამსხმელმაც თავის მხრივ ყველაფერი სწორად შეასრულა, ბურთი მიიღო, გაიგდო .. მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა მთლად ზუსტი.

ამ ეპიზოდის შემდეგ სტუმრებს განსაკუთრებული არაფერი შეუქმნიათ. ერთი, 74-ე წუთზე ბეიბლის დიაგონალური დარტყმალა იყო.

სამაგიეროდ „ლაციომ" აალელვა გულშემატკივარი. ნესტამ დაცვიდან შეუტია, თუმცა ბოლო წამს უმეურვეო რობერტო მანჩინისთვის პასის მიწოდების მაგივრად ბურთი თავად დაიტოვა და ჭაობში წააგო.

საფინალო სასტვენმა „სტადიო ოლიმპიკოს" პუბლიკას დიდი ტრანსპარანტი აღამართინა: „დავლაშქროთ პარიზი!"

„ლაციოს" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში ერთხელაც არ წაუგია.

**პაპუნა ძეძია**



სპარტაკი — ინტერი. ფრანჩესკო მორიერო უაფას თასის ფინალისკენ ლაფში იკვალავს გზას

ბადრი კეთილაძის ფოტო

## თასების თასის ნახევარფინალი

# პირველად ისტორიაში

### ლოკომოტივი — შტუტგარტი

„შტუტგარტი" მოსკოვში თავაწეული ჩავიდა — „ლოკომოტივთან" თასების თასის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრის წინ, გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში უეფას თასის გასული წლის მფლობელს, „შალკეს" ოთხი გოლი გაუტანა, თან სტუმრად.

UEFA Cup Winners' Cup

„ლოკომოტივთან" ორი კვირის წინანდელი მატჩისა არ იყოს, „შტუტგარტმა" „შალკესაც" ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით აჯობა. განსხვავება ანგარიშშია, მოსკოველებთან შეხვედრა 2:1 დასრულდა, გელზენკირხენის გუნდთან — 4:3.

— მოსკოვში ერთადერთი მიზნით ჩამოვედით, უნდა გავიმარჯვოთ — თქვა „ლოკომოტივთან" პირველ თამაშში გატანილი გადამწყვეტი გოლის ავტორმა ფრედი ბობიჩმა, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდს იმ მოედანზე მოუწევს თამაში, რამდენიმე დღის წინ 30 სანტიმეტრი თოვლი რომ ედო.

„ლოკომოტივი" ის გუნდია, რომელსაც ევროტურნირებში მეორე ეტაპი აქამდე არასდროს გადაულახია, მაგრამ ახლა შეუძლია გახდეს რუსთაგან მეორე ფინალში რომ აქვს ნათამაშევი. პირველი რუსული გუნდი ფინალს რომ მიაღწია, გახლდათ მოსკოვის „დინამო", თასთა თასის 26 წლის წინანდელი ფინალისტი.

„შტუტგარტისა" და „ლოკომოტივის" პირველ შეხვედრაში რუსებმა ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს. სულაც ანგარიში ქართველი თავდამსხმელის, ზაზა ჯანაშიას წყალობით მათ გახსნეს, მაგრამ დღეს მათი მწვრთნელი, იური სიომინი შეშფოთებულია, რადგან მის ისედაც მცირერიცხოვან სიას დაშავებულნი და დისკვალიფიცირებულნი აკლდებიან.

მცველს იური დროზდოვს ერთი კვირაა არ უვარჯიშია. ის რუსეთის თასის მეოთხედფინალურ თამაშში დაშავდა, სადაც „ლოკომოტივმა" „დინამოს" 1:0 მოუგო. არადა, დროზდოვი შტუტგარტში, გერმანელთა ყველაზე დიდ ვარსკვლავს, ბულგარელ კრასიმირ ბალაკოვს მეურვეობდა და არცთუ უშედეგოდ.

თითი აქვს მოტეხილი ანდრეი სოლომატინს, იგორ ჩერევჩენკო დისკვალიფიცირებულია, უკრაინელი ოლეგ გარასი კი ვერაა ფორმაში.

— სულელი უნდა ვიყო, მთელი ძალები შეტევაში რომ გადავტყორცნო. ჩვენ სწრაფ კონტრშეტევებს ვამუშავებდით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გერმანელებს გოლი არაფრის დიდებით უნდა გავატანინოთ — ამბობს სიომინი.

— ერთადერთი, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, ისაა, რომ „შტუტგარტს" ისტორიაში პირველად ფინალში გასვლის შანსი აქვს და ამ შანსის გამოსაყენებლად უნდა ვიბრძოლოთ — ეს სიტყვები გერმანული გუნდის თავკაცს იოახიმ ლეოვს ეკუთვნის.

### ჩელსი — ვიჩენცა

კონტინენტს გადაღმა, ლონდონში, იტალიელი ჯანფრანკო ძოლას იმედი აქვთ, ჯარიმებს ზუსტად არტყამსო. საუბარია მეორე ნახევარფინალზე, სადაც „ჩელსი" „ვიჩენცას" მასპინძლობს. ამბობენ, ინგლისური გუნდის მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ თანამემამულეს ჯარიმებზე ვარჯიშში სული ამოჰხადაო.

— ძნელი მატჩი იქნება, რადგან „ვიჩენცა" აქ თავის დასაცავად ჩამოდის. ჩვენთვის სასურველ შედეგს რომ მივაღწიოთ, სეზონის საუკეთესო მატჩის ჩატარება მოგვიწევს. როდესაც ისეთ გუნდს ეთამაშები, 10 ან 11 ფეხბურთელით თავს რომ იცავს, ძალიან ძნელდება სამოქმედო სივრცის პოვნა, ამიტომ ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი როლი შესაძლოა საჯარიმო დარტყმებმა ითამაშონ — თქვა ვიალიმ.

„ვიჩენცა" დიახაც დაიცავს თავს, მაგრამ

— 0:0 საუცხოო შედეგი იქნებოდა, თუმცა სინამდვილეში ამაზე არც ჩვენ ვფიქრობთ და ბუნებრივია, არც მოწინააღმდეგე — ბრძანა იტალიური გუნდის მცველმა დავიდე ბელოტიმ — ბოლოს და ბოლოს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სეზონში 54 გოლი გავუშვით, ჰოდა თამაშის დაცვითი პრინციპით აგება განა სწორი იქნება?

— ინგლისური გუნდები ყოველთვის შემტევ ფეხბურთს თამაშობენ — თქვა ბელოტის თანაგუნდელმა ჯაკომო დიკარამ.

„ჩელსის" კაპიტნის დენის უაიზის აზრით, ვიალიმ პირველ შეხვედრაში გუნდი არასწორი ტაქტიკით ათამაშა, მაგრამ იმედოვნებს, რომ დღეს, „სტემფორდ ბრიჯზე" ყველაფერი გამოსწორდება:

— ჩვენი შეჩერება მეტოქეს გაუჭირდება, რადგან „სტემფორდ ბრიჯზე" მოედანი ცოტა გრძელია და გემოზე თამაშის საშუალება მოგვეცემა. ყველაფერს შეტევა გვიჯობს. ვიჩენცაში ვგონებ მოწინააღმდეგეს ზედმეტად მოვერიდეთ. იქ კონტრშეტევაზე ავაწყეთ თამაში და ამიტომაც დავისაჯეთ. ჩვენ თასების თასის მოპოვება გვჭირდება. სეზონის დასაწყისშივე მიზნად ეს გვქონდა დასახული. თუ ამოცანას გაუძავჭრით, ინგლისურ გუნდებს საერთაშორისო პრესტიჟს შევმატებთ.

„ჩელსის" დღევანდელ შეხვედრაში არ ეყოლება დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი რობერტო დი მატეო, რვა ფეხბურთელს კი ყვითელი ბარათი აქვს და გამარჯვების შემთხვევაში ისინი ფინალის გამოტოვების საშიშროების წინაშე დგანან.

„ვიჩენცას" თავკაცი ფრანჩესკო გუიდოლინი უფრო კარგ მდგომარეობაშია. მას დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს, დაშავებული კი ერთადერთი ნახევარმცველი რობერტო ბარონიოა.

ამბობენ, წლევანდელი დამსახურების გამო გუიდოლინი მომავალ სეზონში „ფიორენტინას" გაწვრთნისო.

— ფაქტია, ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ ფინალში გასასვლელად. ეს ხომ „ვიჩენცასთვის" ისტორიული, პირველი ფინალი იქნება, მაგრამ არც უმთავრესი ამოცანა გვავიწყდება — სერია A-ში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ, თორემ ევროწარმატება გაგვიხუნდება — ამბობს ფლორენციის გზაზე დამდგარი გუიდოლინი.

დარჩა
FRANCE 98
54 დღე

# ფუტიქსის დროშით
# რჩეულნი

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატებიდან ესპანელებს ერთიც არ გამოუტოვებიათ, მუდამ ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, მაგრამ თითქოს ყოველთვის რაღაც აკლდათ — მეოთხედფინალში, ან ადრე ეთიშებოდნენ ასპარეზობას, თანაც რაღაც უცნაური მარცხის შემდეგ. არადა, შესარჩევ ტურნირში ესპანელებს ბადალი არ ჰყავთ — ბოლო წლებში (მსოფლიოს 1994 და 1998 წლს ჩემპიონატები, ევროპის 1996 წლის პირველობა) პირენეის ნახევარკუნძულის უპირველესი გუნდი შესარჩევ ტურნირებს დამაჯერებლად იგებს, ყოველგვარი პრობლემების გარეშე.

1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელებთან მეოთხედფინალში მარცხმა ესპანეთს ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა ჩაურაზა. წელს მორიგი უდიდესი საფეხბურთო ტურნირია, ყველა მონაწილე წინა მიღწევის გაუმჯობესების იმედადაა. გამონაკლისნი არც ესპანელები არიან. ნაკრების თავკაცმა ხავიერ კლემენტემ ადრე განაცხადა, დროა ესპანეთმა დიდ ტურნირებშიც იმარჯვოს, ჩვენ ამის განცხადების ყველანაირი საფუძველი გაგვაჩნიაო.

მის ხელში ესპანეთი საკმაოდ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა, რაზეც ის დაუმარცხებელ მატჩთა სერია მოწმობს, 1994 წლიდან 1998 წლის დასაწყისამდე რომ გრძელდებოდა. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში კლემენტეს რჩეულებმა დაახლოებით 30-ზე მეტი შეხვედრა განვლეს დაუმარცხებლად, ასეთი მიღწევა კი ესპანელებზე გაცილებით ტიტულოვან გერმანიის ნაკრებს ჯერაც სანატრელი აქვს.

რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ნაკრების თავკაცმა, ბევრჯერ კრიტიკის ქარცეცხლში გამოვლილმა ხავიერ კლემენტემ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომელთაგანაც დააკომპლექტებს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე 22-კაციან გუნდს. კლემენტეს რჩეულთა შორის რამდენიმე ახალწვეულიცაა. მაგალითად, „ვალიადოლიდის“ თავდამსხმელი ბენჟამინ სარანდონა და „ბარსელონას“ ნახევარმცველი ალბერტ სელადესი. დიდი გაკვირვება გამოიწვია ნაკრების კანდიდატთა შორის „სოსიედადის“ მცველის აგუსტინ არანსაბალის და „რეალის“ ნახევარმცველის ემილიო ამავისკას დასახელებამ. სხვათა შორის, თუ მოხდა და სარანდონამ ესპანეთის ნაკრების მაისური მოირგო, იგი მეორე შავკანიანი მობურთალი გახდება, ვისაც ასეთი პატივი რგებია. პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი შავკანიანი მოთამაშე გაესპანელებული ბრაზილიელი, ამჟამად ლა კორუნიის „დეპორტივოში“ მობურთალი დონატო იყო.

ახალწვეულებთან ერთად ნაკრების დიდი ნაწილი, ცხადია, ვეტერანებისგან დაკომპლექტდება. ორმა გამოცდილმა მოთამაშემ, მეკარე ანდონი სუბისარეტამ და ნახევარმცველმა ხოსეპ გვარდიოლამ შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერც ითამაშონ. პირველის საფრანგეთში წაუსვლელობის მიზეზი ასაკი და ახალგაზრდა, ძლიერი კონკურენტები იქნება, მეორესი კი გაჭიანურებული ფეხის ტრავმა, რომლის მოშუშება გვარდიოლამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა. სუბისარეტას უმთავრეს კონკურენტად მადრიდის „ატლეტიკოს“ კარის დარაჯ ხოსე მოლინას ასახელებენ, ვისაც ნაკრების ღირსება აქამდე ერთადერთხელ დაუცავს — ორი წლის წინ მან სადებიუტო მატჩში ნახევარმცველად ითამაშა.



ხოსეპ გვარდიოლა

ნაკრების კანდიდატები დასახელდნენ. ახლა ჯერი თავად ფეხბურთელებზეა, მაისის ბოლოს კი მწვრთნელზე იქნება. აი, კანდიდატებიც: მეკარეები — ანდონი სუბისარეტა (ვალენსია), სანტიაგო კანისარესი (რეალი), ხოსე მოლინა (ატლეტიკო); მცველები — ალბერტ ფერერი, მიგელ ანხელ ნადალი, სერხი ბარხუანი, აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა), ფერნანდო იერო (რეალი), რობერტო რიოსი, რაფაელ ალკორტა (ბილბაო), ივან კამპო (მალიორკა), სანტი, კარლოს აგილერა (ატლეტიკო), აგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი); ნახევარმცველები — ლუის ენრიკე მარტინესი, ხოსეპ გვარდიოლა, გილერმო ამორი, ალბერტ სელადესი (ბარსელონა), ფერნანდო სანჩისი (ბეტისი), ემილიო ამავისკა (რეალი); თავდამსხმელები — რაული, ფერნანდო მორიენტესი (რეალი), ოლი ალვარესი, ალფონსო (ბეტისი), იულენ გერერო, ხოსება ეჩებერია (ბილბაო), კიკო (ატლეტიკო), ბენჟამინ სარანდონა (ვალიადოლიდი), ხუან პიცი (ბარსელონა).

## პორტუგალია

ვიტორ ბაია ნაკრებშია! მიმდინარე სეზონის დასაწყისში, როცა „ბარსელონა“ ჩემპიონატისთვის და ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადებოდა, ბაიამ ტრავმა მიიღო, მერე კი ვერ იქნა და ვერ დაიბრუნა ადგილი კლუბის შემადგენლობაში. მიუხედავად თითქმის გაცდენილი სეზონისა, იგი მაინც დაასახელეს ნაკრებში, რომელიც 22 აპრილს „უემბლიზე“ მასპინძელთა ნაკრებს შეერკინება.

პორტუგალიის ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ვიტორ ბაია (ბარსელონა), სილვინო ლოურო (სალგეირუში); მცველები — სერჟიო კონსეისაო, ჟოაო მანუელ პინტო (პორტუ), ფერნანდო კოუტუ (ბარსელონა), რობერტო სევერო (სპორტინგი), დიმაში (იუვენტუსი), აბელ შავიერი (ოვიედო); ნახევარმცველები — პაულო სოუზა (ინტერი), რუი კოშტა (ფიორენტინა), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა), ჟოზე სელადო (ბენფიკა), პაულინიო სანტუში, ნუნო კაპუჩო (პორტუ), პედრო ბარბოსა (სპორტინგი); თავდამსხმელები — ჟოაო პინტო, ნუნო გომეში (ბენფიკა), ჟორჟე კადეტე (სელტა).

## შოტლანდია

შოტლანდიის ნაკრები 22 აპრილს ედინბურგში სკანდინაველებს, კერძოდ კი ფინელებს მასპინძლობს. გუნდის თავკაცმა კრეიგ ბრაუნმა ფინელებთან დაპირისპირება შემდეგი მოთამაშეებით ამჯობინა: მეკარეები — ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ენდი გორამი (გლაზგო რეინჯერსი), ნილ სალივანი (უიმბლდონი); მცველები — ტომი ბოიდი (სელტიკი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი), კრისტიან დეილი (დერბი), მეტ ელიოტი (ლესტერი), კოლინ ჰენდრი (ბლექბერნი), დევიდ ვეირი (ჰართსი), დეკერ უაითი (აბერდინი); ნახევარმცველები — კრეიგ ბარლი, პოლ ლამბერტი, ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), სკოტ ჯემილი (ნოტინგემი), ჯონ კოლინზი (მონაკო), სტიუარტ მაკოლი (გლაზგო რეინჯერსი), ბილ მაკინლი (ბლექბერნი); თავდამსხმელები — სკოტ ბუთი (დორტმუნდი), გორდონ დიური (გლაზგო რეინჯერსი), კევინ გალაჰერი (ბლექბერნი), ეონ ჯესი (აბერდინი), დარენ ჯეკსონი, საიმონ დონელი (სელტიკი).

## ხორვატია

22 აპრილს ხორვატები წლეულს პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ნაკრებს კიდევ სამი შეხვედრა აქვს დაგეგმილი. საქართველოს ნაკრების ყოფილი მეტოქესთან სათამაშოდ ხორვატთა მწვრთნელმა მიროსლავ ზლატკოვიჩმა უძლიერეს შემადგენლობას ნამდვილად ვერ მოუყარა თავი, ეგ კი არა, ვეტერანი თავდამსხმელის ადრიან კოზნიკუს გამოძახებაც მოუწია.

ნაკრების შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), მარიან მრმიჩი (ბეშიქთაში); მცველები — დარიო სიმიჩი, დამირ კრჟნარი, გორან იურიჩი (კროაცია), სლავენ ბილიჩი (ევერტონი), იგორ შტიმაცი (დერბი), რობერტ იარნი (ბეტისი), იგორ ტუდორი (ჰაიდუკი); ნახევარმცველები — მარიო სტანიჩი (პარმა), ზვონიმირ ბობანი (მილანი), კრუნოსლავ იურჩიჩი, სილვიო მარიჩი, ტომისლავ რუკავინა (კროაცია), ზორან მამიჩი (ბოხუმი), ალიოშა ასანოვიჩი (ნაპოლი); თავდამსხმელები — იგორ ცვიტანოვიჩი (სოსიედადი), ალენ ბოკშიჩი (ლაციო), დავორ შუკერი (რეალი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია), ადრიან კოზნიკუ (ბასტია).

## ამხანაგური მატჩები

### ისრაელი 2:1 არგენტინა

ისრაელი: კოენი, ა. ჰარაზი (ტალი 80), გრაევი, შელაჰი, ბენადო, ბენ-შიმონი, ტალასნიკოვი, რევივო, ბერკოვიჩი (ბდირი 64), აბუკსისი, მიზრაჰი (რ. ჰარაზი 46)

არგენტინა: ბურგოსი, სენსინი, პინედა, ლომბარდი (ბერტი 69), ალმეიდა, პასი, ლოპესი, კანია, ბატისტუტა, გალიარდო, კარდოსო (ორტეგა 46)

1:0 გრაევი (64), 1:1 კანია (76), 2:1 რევივო (82)

### სლოვაკეთი 0:0 კორეა

## ნორვეგია



სარბიელის არქივიდან

ნორვეგიელები გამარჯვების მოლოდინში ერთმანეთს არ ინდობენ

კოლუმბიასთან 1:1, საფრანგეთთან 3:3, ბელგიასთან 2:2, დანიასთან? როდემდე უნდა გაგრძელდეს ნორვეგიელთა ფრედ დასრულებული მატჩები?

ზემოხსენებულ ამხანაგურ შეხვედრებში ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა 29 (!) მოთამაშე გამოსცადა, დანიელებთან კი დიდი შანსია, ამათი რიცხვი კიდევ გაიზარდოს — „ევერტონის“ მეკარე ტომას მერიმ და „მიოლდეს“ ნახევარმცველმა დანიელ ბერგ ჰესტადმა შეიძლება ნაკრებში პირველად ითამაშონ.

ოლსენის რჩეულნი: ფროდ გროდასი (ტოტენჰემი), ტომას მერი (ევერტონი); მცველები: ჰენინგ ბერგი, რონი იონსენი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტიგ ინგე ბიორნებიუ (ლივერპული), დენ ეგენი (სელტა), ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი), როჯერ ნილსენი (შეფილდ იუნაიტედი), სტაინერ ნილსენი (მილანი); ნახევარმცველები — დანიელ ბერგ ჰესტადი (მიოლდე), ოივინდ ლეონარდსენი (ლივერპული), კეტილ რეკდალი (ჰერტა), პეტერ რუდი (შეფილდ უენსდეი), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი); თავდამსხმელები — ტორე ანდრე ფლო (ჩელსი), ჰავარდ ფლო (ვერდერი), ვიდარ რისეტი (ლასკი), ფრენკ სტრანდლი (პანათინაიკოსი).

## დანია

ევროპის 1992 წლის ჩემპიონთა გუნდში ორი ახალწვეულია — დანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი ებე სანდი და „ჰამბურგის“ მცველი ტომას გრევსენი. ამ ორი მოთამაშის გარდა დანიელთა თავკაცმა ბო იოჰანსონმა ნორვეგიელებთან მატჩში გამოცდილებაზე დაყრდნობა ამჯობინა.

რაც შეეხება ნაკრების მთლიან შემადგენლობას, იგი ასე გამოიყურება: პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი), მოგენს კროგი (ბრონდბიუ); სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იან ჰანცე (ლევერკუზენი), რენე ჰენრიკსენი (AB), იეს ჰოგი (ფენერბაჰჩე), მარკ რიპერი (სელტიკი); ტომას ჰელვეგი (უდინეზე), პერ ფრანდსენი (ბოლტონი), ბიარნე გოლდბეკი (კოპენ-ჰაგენი), ტომას გრევსენი (ჰამბურგი), ალან ნილსენი (ტოტენჰემი), მიქაელ შონბერგი (კაიზერსლაუტერნი), მორტენ ვიგჰორსტი (სელტიკი); მარტინ იორგენსენი (უდინეზე), ბრაიან ლაუდრუპი (რეინჯერსი), მიქაელ ლაუდრუპი (აიაქსი), პეტერ მიოლერი (ეინდჰოვენი), ებე სანდი (ბრონდბიუ).

## ჩილე

ჩილელები 22 აპრილს შინ, სანტიაგოში, კოლუმბიელებს ამხანაგურად ეთამაშებიან, ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — ნელსონ ტაპია (უნივერსიდად კატოლიკა), მარსელო რამირესი (კოლო კოლო); მცველები — ფრანჩესკო როხასი (კოლო კოლო), რონალდ ფუენტესი, რიკარდო როხასი, მაურისიო აროსი (უნივერსიდად დე ჩილე), ხავიერ მარგასი, მიგელ რამირესი (უნივერსიდად კატოლიკა), ხორხე რამირესი (კობრელოა); ნახევარმცველები — მოიზეს ვილაროელი (უონდერერსი), პაბლო გალდამესი, კლარენს აკუნია, ესტებან ვალენსია (უნივერსიდად დე ჩილე), ნელსონ პარაგუისი, ფერნანდო კორნეტო (უნივერსიდად კატოლიკა), ხოსე ლუის სიერა (კოლო კოლო), თავდამსხმელები — ეკტორ ტაპია (კოლო კოლო), მარსელო სალასი (რივერ პლეიტი), მანუელ ნეირა (კოლო კოლო), როდრიგო ბარერა (უნივერსიდად დე ჩილე).

## ოდა მარაკანას

29 აპრილს რიო დე ჟანეირო და მთელი ბრაზილია ერთ რამეზე იფიქრებს — შეძლებს ბრაზილია ყველაზე საძულველი მეტოქის, არგენტინის დამარცხებას? მეტად რთული საკითხია, ცხადია, ბრაზილიელთათვის.

— მსოფლიოს ჩემპიონატს თუ არ ჩავთვლით, არგენტინის მეტოქეობა ნაკრების წლევანდელ განრიგში უდიდესი მოვლენაა. ასეა ყოველთვის, როცა ბრაზილია არგენტინას უპირისპირდება. ჩვენ მუდამ ერთმანეთის დასამარცხებლად ვიბრძვით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახლაც ასე იქნება. ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონია, ტიტულის დაცვა ორიოდ თვეში მოუწევს. ერთგვარი არგენტინასთან კი მსოფლიოს ჩემპიონატის რეპეტიცია იქნება — ბრაზილიის ნაკრების თავკაცი მარიო ზაგალო, რომლის თავკაცობითაც ნაკრებმა 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი ნიკეს თასი მოიპოვა, არგენტინასთან თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ვის დაეყრდნობა მოხუცი ზაგალო ამ შეხვედრაში? მწვრთნელს მოთამაშეები ჯერ არ დაუსახელებია, მაგრამ ნაკრებში მიწვეული უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელთა გვარები ცნობილია: ალდაირი და კაფუ (რომა), რობერტო კარლოსი (რეალი), სეზარ სამპაიო (ანასატო კოგიო), დორივა (პორტუ), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო), ლეონარდო (მილანი), რაი (პსჟ), ზე ელიასი, რონალდო (ინტერი), ედმუნდო (ფიორენტინა). ზაგალომ ქვეყნის გარეთ მობურთალებს შორის თავდაპირველად ბარსელონელები რივალდო და ჯოვანიც დაასახელა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ „ბარსას“ ბრაზილიის ნაკრების არგენტინელებთან თამაშისთვის მზადების დღეებში, ესპანეთის თასის ფინალი ელოდა, ჰოდა, რივალდო და ჯოვანიც კატალონიაში დარჩნენ.

...ბევრის მნახველი „მარაკანა“ ალბათ გაივსება. ამ სახელგანთქმულ სტადიონს ხომ აგერ უკვე თითქმის ხუთი წელია, ნაკრების თამაშისთვის არ უმასპინძლია, პირველივე მატჩი კი არგენტინასთანაა. თამაში ეს იქნება, თუ იქნება!

## ინგლისი

— თუ ასე გაგრძელდა, მალე ინგლისური ფეხბურთი დაღუპვის პირას დადგება! არ შეიძლება, ინგლისურ გუნდში უფრო მეტი უცხოელი თამაშობდეს, ვიდრე ადგილობრივი მოთამაშე. საშუალო დონის უცხოელთა კლუბში აყვანა ადგილობრივი ნიჭიერი მოთამაშის პოტენციურ დაღუპვას ნიშნავს — ინგლისის ნაკრების თავკაცი გლენ ჰოდლი ინგლისური ფეხბურთის მომავლით ძალიანაა შეშფოთებული.

ჯერჯერობით ალბიონზე საქმე ისე არ დგას, ნაკრებისთვის მოთამაშეთა შერჩევა რომ გაძნელდეს. პირიქით, 22 აპრილს, პორტუგალიელებთან ამხანაგურ მატჩისთვის ჰოდლმა იმდენი მოთამაშე გამოიძახა, ორ გუნდს თავისუფლად ეყოფოდა, აქედან გამომდინარე, მისი ალშფოთება ბევრისთვის მიუღებელია.

გუნდი: მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი), იან უოკერი (ტოტენჰემი), კევინ პრესმენი (შეფილდ უენსდეი); მცველები — სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), გარი ნევილი, ფილ ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარტინ კეონი, ტონი ადამსი (არსენალი), სტიუარტ პირსი (ნიუკასლი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), ენდი ჰინჩკლიფი (ევერტონი), დომინიკ მატეო (ლივერპული), გარეტ საუთგეიტი (ასტონ ვილა); ნახევარმცველები - დევიდ ბექემი, ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი), რეი პარლოუ (არსენალი), გრემ ლე სო (ჩელსი), პოლ ინსი, ჯეიმი რედნეპი (ლივერპული), პოლ გექსოინი (მიდლსბრო), დევიდ ბეტი, რობ ლი (ნიუკასლი); თავდამსხმელები — პოლ მერსონი (მიდლსბრო), პოლ სქოულზი, ტედი შერინგემი, ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივ მაკმანამანი, მაიკლ ოუენი (ლივერპული), ალან შირერი (ნიუკასლი), დიონ დაბლინი (ქოვენთრი), იან რაიტი (არსენალი), ლეს ფერდინანდი (ტოტენჰემი).

## გერმანია

მწვრთნელმა ნაკრებში სამი ისეთი მოთამაშე გამოიძახა, აქამდე ბუნდესნაკრებში რომ არ უთამაშიათ — „შალკეს“ მცველი ივ აიგენრაუხი და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველები კარსტენ იანკერი და კრისტიან ნერლინგერი. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ფეხბურთელი საკმაო ასაკისაა, ნაკრებში ჯერ არ უთამაშიათ. სავარაუდოდ, მათი დებიუტი ნიგერიელებთან მატჩში შედგება.

სანამ ნაკრების შემადგენლობას გაგაცნობდეთ, აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე მასპინძლებს კიდევ სამი მატჩი აქვთ დაგეგმილი — 27 მაისს ჰელსინკში ფინეთთან, 30 მაისს ფრანქფურტში კოლუმბიასთან და 5 ივნისს კაიზერსლაუტერნში ლუქსემბურგთან.

ფოგტსის რჩეულნი: ოლივერ კანი (ბაიერნი), ანდრეას კეპკე (მარსელი), იენს ლემანი (შალკე 04); მარკუს ბაბელი, ტომას ჰელმერი (ბაიერნი), ივ აიგენრაუხი, ტომას ლინკე, ოლაფ ტონი (შალკე 04), იენს ნოვოტნი, კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი), შტეფან როიტერი (დორტმუნდი); შტეფან ფროინდი, იორგ ჰაინრიხი, ანდრეას მიოლერი, ლარს რიკენი (დორტმუნდი), ტომას ჰესლერი (კარლსრუე), დიტმარ ჰამანი, კრისტიან ნერლინგერი, მეჰმეტ შოლი, მიჰაელ ტარნატი (ბაიერნი), კრისტიან ციგე (მილანი), იენს იერემაისი (მიუნხენ 1860); ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (ტოტენჰემი), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი).

## შვეიცარია

შვეიცარიის მეტოქე ამჯერადაც დიდი ბრიტანეთიდან იქნება — ჩრდილოეთ ირლანდია. ინგლისთან შედარებით ჩრდილოირლანდიელები სუსტნი რომ არიან, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი დამარცხება იოლი სულაც არ იქნება.

„სენტ გალენის“ თავდამსხმელ პატრიკ ბულმენს ნაკრებში არასდროს უთამაშია, ჩრდილოირლანდიელებთან კი შეიძლება მის სანაკრებო დებიუტიც შედგეს — გრესმა ბულმენი ნაკრების მწვრთნელმა ჟილბერტ გრესმა თურქილმაზის ნაცვლად გამოიძახა. ამ მატჩისთვის ემზადება აგრეთვე „კაიზერსლაუტერნის“ ნახევარმცველი ჩირიაკო სფორცა, რომელმაც ტრავმის გამო ინგლისელებთან ვერ ითამაშა.

გუნდი: მეკარეები — ჟოელ კორმინბეფი (ქსიმაქსი), პასკალ ცუბერბუჰლერი (გრასჰოპერი); მცველები — სებასტიან ფურკი (სერვეტი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სებასტიან ჟენერე (ქსამაქსი), რამონ ვეგა (ტოტენჰემი), სტეფან კოლფი (სიონი), იოჰან ვოგელი (გრასჰოპერი); ნახევარმცველები — ჩირიაკო სფორცა (კაიზერსლაუტერნი), რაფაელ ვიკი (ვერდერი), მურატ იაკინი (შტუტგარტი), იოჰან ლონფეტი (სიონი), პატრიკ მიულერი (სერვეტი); თავდამსხმელები — პატრიკ ბულმენი (სენტ გალენი), სტეფან შამპუიზა (დორტმუნდი), მარკო გრასი (კანი), დავიდ სესა (სერვეტი), ადრიან კუნცი (ვერდერი).

# მესამე მატჩის ფანტასტიკური ფინალი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ასეა, ვინც თამაშობს, ის აგებს. უდიდეს კალათბურთელებსაც კი განუცდიათ მარცხის სიმწარე, მაგრამ თუ დიდი მოთამაშეობა გინდა, წაგებას კაცურად უნდა შეხვდე და შენი უპირატესობა თამაში დაამტკიცო. ეს, ალბათ, რუსთაველებმაც უნდა გაითვალისწინონ.

სხვაფრივ დიდებული თამაში იყო.

საუცხოოდ ითამაშა გია სანაძემ.

საუცხოო იყო რუსთაველთა გუნდი ბოლო წუთებში, როცა მათ სდასუ-ს 12-ქულიანი უპირატესობა სამ წუთში გააცამტვერეს.

და ფანტასტიკური იყო ლადო აბულაძის სამქულიანი ბოლო წამზე.

მატჩი კი რუსთაველებმა ჩინებული სამსვლიანი კომბინაციით დაიწყეს: გოგობერიშვილი — გაბისონია — ბოისა 2:0. მალე ბოისამ კვლავ შედეგიანად ითამაშა, მაგრამ ჩერქეზიშვილმა უპასუხა სამქულიანით და ეს იმის ნიშნაი იყო, რომ სდასუ დიდ ბრძოლას გაუჩაღებდა მეტოქეს. 7-8 წუთი გუნდები რიგრიგობით გადიოდნენ წინ. მხოლოდ მეათე წუთზე, ოთიურიძის ტყორცნის შემდეგ დაწინაურდა სდასუ სამი ქულით, იქვე ჩხეიძემ განახორციელა ორი ჩინებული გარღვევა და სდასუ 20:13-ს იგებს. რუსთაველები მატჩში გარდატეხის შეტანას ცდილობენ, მაგრამ არ გამოსდის თამაში ჯაფარიძეს, გოგობერიშვილსაც არ წაუვიდა სამქულიანები და სდასუ ლიდერობას ინარჩუნებს. ამ სერიაში სულ მოველოდით, როდის ამოქმედდებოდა სანაძის ცნობილი სამქულიანები, მაგრამ გიამ პირველი ორი თამაში ისე ცუდად ჩაატარა, რომ გულშემატკივარს თითქმის გადაუწურა იმედი. თუმცა სანაძე მაინც სანაძეა, წაუვიდა თამაში და რუსთაველებიც მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. სანაძის ზედიზედ ორი სამქულიანს ჩერქეზიშვილმაც დაუმატა ერთი და მეთვრამეტე წუთზე სდასუ უკვე 12 ქულითაა წინ. ამდენით დაწინაურება წლეულს რუსთაველებთან ვერავინ შეძლო. ტაიმის ბოლოს „აზოტმა" რამდენადმე შეამცირა სხვაობა, მაგრამ სდასუ-მ მაინც საკმაო უპირატესობით მოიგო 35:26.

მეორე ტაიმში ყველა რუსთაველთა გადამწყვეტ შეტევას ელის, მაგრამ კვლავ სდასუ თამაშობს ჩინებულად. სანაძის ზუსტი ტყორცნები გრძელდება და სდასუ კარგა ხანს ინარჩუნებს 11-ქულიან სხვაობას. ბოლოს და ბოლოს, გოგობერიშვილსაც წაუვიდა შორეული ტყორცნა, გაილაღა ჯაფარიძემაც და მეექვსე წუთისთვის სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა. ისევ სანაძე: და მატჩის სადავეები კვლავ სტუდენტთა ხელთაა. ნაცვლიშვილის გასვლა და სხვაობა კვლავ 12 ქულაა 51:39. რუსთაველები ვერანაირად ვერ მიუახლოვდნენ სდასუ-ს კალათს. სდასუ-ს ზონურმა დაცვამ გოგობერიშვილს შესვლის შესაძლებლობა მოუსპო, ბოისასთვის განკუთვნილი პასებიც არ მიდის ადრესატამდე და 8,40 წამით ადრე სდასუ „აზოტს" 15 ქულას უგებს 68:53. უპირატესობა დიდია, მაგრამ რუსთაველთა ძალაც ცნობილია. სდასუელებს სულ უფრო და უფრო უჭირთ ჯაფარიძის შეჩერება, რადგან ოთიურიძეს დანაცვლიშვილს ოთხ-ოთხი პერსონალური შენიშვნა აქვთ, თუმცა არც მუშკუდიანი თამაშობს ურიგოდ. დაცვაში შესანიშნავია ჯიჯო-გიორგი ჩხეიძე, რომელიც ფარიდან ასხლეტილ ბურთებს ხსნის, გადაცემებსაც ჭრის და სდასუც ისეთი პირი უჩანს, შეუჩერებლივ მიიწევს გამარჯვებისკენ. 3,30 წუთით ადრე გია სანაძის ტყორცნის შემდეგ ანგარიში 75:63-ია სტუდენტების სასარგებლოდ.

„აზოტი" კი ის გუნდი არაა, ასე ადვილად შეეგუოს მარცხს. თამაშის ტემპი სწრაფია, მაგრამ რუსთაველები კიდევ უფრო უმატებენ და სულ რაღაც ერთ წუთში ექვს ქულამდე ამცირებენ სხვაობას. გოგობერიშვილისა და ბოისას ტყორცნებს ჩერქეზიშვილი და ნაცვლიშვილი პასუხობენ. იწყება ბოლო წუთი და ანგარიში 80:76-ია სდასუ-ს სასარგებლოდ. ჯაფარიძის გარღვევა სდასუ-ს კალათში ჩაგდებული ბურთით და ჯარიმით მთავრდება, რომელსაც ირაკლი იყენებს და სხვაობა მინიმალურია — 80:79. სდასუ შემოტანისთანავე კარგავს ბურთს და რუსთაველებს 32 წამი აქვთ შეტევის განსახორციელებლად. გოგობერიშვილი ბოლომდე ათამაშებს ბურთს და მერე ფარისკენ მიიწევს, ჩხეიძე მის წინააღმდეგ ჯარიმდება, მატჩის დამთავრებამდე 6 წამია. რამაზი, როგორც ჩვეია, ზუსტად იყენებს ორივე საჯარიმოს და რუსთაველები გამარჯვებას ზეიმობენ, თუმცა, როგორც გაირკვა, ნაადრევად. ნაცვლიშვილმა სწრაფად გადაიტანა ბურთი მეტოქის ნახევარზე, რუსთაველებმა ჩაჭრეს გადაცემა და 1 (!) წამით ადრე სდასუელებს ბურთი გვერდითი ხაზიდან შემოაქვთ. ჩხეიძე აწვდის აბულაძეს, ლადო შორიდან ისვრის, ბურთი ჰაერშია, მატჩი კი უკვე დამთავრდა და ყველა ბურთის ტრაექტორიას ადევნებს თვალს. ის კი ბადეში თავსდება. სდასუ-მ მოიგო და სერიაში ანგარიში 2:1 გახდა „აზოტის" სასარგებლოდ. მეოთხე მატჩი 17 აპრილს, 18 საათზე გაიმართება.

**ვითა — დინამო 114:87 (52:34)**

**ვითა:** აბრამიძე (17), დავითულიანი (12), ორმოცაძე (31), მიქაძე (2), ჩუბინიძე (15); ტულუში (2), გაგნიძე (2), კორძაძე, ლოსაბერიძე (10), ტურაშვილი (13), კოკოლიშვილი (10)

**დინამო:** მაისურაძე (10), შანიძე (17), ბეჟანიშვილი (25), ქევხიშვილი, ნონიაშვილი (17), ბერია (4), კილაძე (2), მეჭურჭლიშვილი (2)

**მსაჯები:** მაჩალაძე, ბერეკაშვილი

პირველი ფინალისტი გაირკვა. „ვითამ" „დინამოს" აჯობა და „აზოტი" — სდასუს წყვილში გამარჯვებულს ელის.

სასწაული არ მოხდა. ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩენილმა „დინამომ" სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჩემპიონს და დიდი ანგარიშით დამარცხდა. დინამოელები მხოლოდ მე-8 წუთამდე ებრძოდნენ მეტოქეს ღირსეულად და 5 ქულითაც კი იყვნენ წინ 20:15, მაგრამ მერე ექვს წუთში დინამოელებმა ქულაც ვერ აიღეს, „ვითამ" კი 12 მოიპოვა და პრობლემები აღარც შექმნია.

ასე დასრულდა ამ ნახევარფინალური წყვილის შეხვედრათა სერია. დიდი ბრძოლის ნაცვლად ორი კალათბურთელის უდისციპლინობა ვიხილეთ. ჩემპიონი მზადაა თავისი წოდების დასაცავად.

„ვითას" უფროსი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე:

— სეზონის მანძილზე რას არ ამბობდნენ — „ვითა" დაიშალა, „ვითა" თავის თავს არ ჰგავსო და ასე შემდეგ. ჩვენ კი ჩვენს საქმეს ვაკეთებდით. „ვითა" ნელ-ნელა უმატებდა თამაშს და დამსახურებულადაც გავედით ფინალში. გუნდს თავისი სახე აქვს, ბიჭები ნამდვილ, ქართულ, ტემპერამენტიან კალათბურთს თამაშობენ და ვფიქრობთ, რომ სწორ გზაზე ვართ. რომელი მეტოქეც უნდა შეგვხვდეს ფინალში, ჩვენსას ვეცდებით და კვლავ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**გია აგლაძე**

**გიორგი გიძაშვილი**

**გურამ დელენჯაშვილის ფოტო**

## მატჩის საუკეთესო მოთამაშე სარბიელის ვერსია

### ვითა — დინამო

**მამუკა ტურაშვილი**

ამ მატჩში საუკეთესო მოთამაშე შეიძლება არც დაგვესახელებინა, იმდენად აშკარა იყო „ვითას" უპირატესობა, მაგრამ მამუკა უეჭველად უნდა გამოგვერჩია — მან ხომ მატჩის ის მონაკვეთი ჩაატარა კარგაად, როცა ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და თან წინა ორი თამაშიც ჩინებულად ჩაატარა.



— ამ წყვილში ფავორიტად თითქოს „დინამოს" მიიჩნევდნენ, მაგრამ „ვითამ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე. წინა მატჩში მომხდარმა ფაქტმა გარკვეულწილად ჩვენზეც იმოქმედა და თავს მოდუნების უფლება მივეცით, თუმცა ამ ეტაპზე ასეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. რაც შეეხება მომავალ ფინალს, ჩემი აზრით, „აზოტთან" მოგვიწევს ჩემპიონობის დაცვა.

### აზოტი — სდასუ

**გია სანაძე**

გიამ ცუდად ჩაატარა პირველი ორი თამაში. არადა, სდასუ-ს წარმატებას „აზოტთან" ბევრად განაპირობებდა ის, როგორ ითამაშებდა იგი და მართლაც, ამ მატჩში კვლავ ძველი გია სანაძე ვიხილეთ. მისმა სამქულიანებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სდასუ-ს გამარჯვებაში და პარტნიორებიც აიყოლია. გიამ იმ დღეს 8 სამქულიანი ჩააგდო.



— გუნდმა დღეს კარგად ითამაშა. გადამწყვეტი მატჩი იყო და ბიჭებმაც თავი არ დაზოგეს. დასანანი იქნებოდა, რომ არ მოგვეგო. მე ხელის კუნთის ტრავმა მქონდა და სრული დატვირთვით ვერ ვვარჯიშობდი. ალბათ, ამან განაპირობა წინა ორ მატჩში ჩემი სუსტი თამაში. სამი-ოთხი დღეა, სერიოზულად ვვარჯიშობ და ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში. რაც მთავარია, ჩვენი ძალები ვირწმუნეთ და ბოლომდეც ვიბრძოლებთ.

## წავა ბოისა სტეფანიასთან?

რუსთავის „აზოტისა" და საქართველოს ნაკრების წევრი ვლადიმერ ბოისა, შესაძლოა, სულ მალე ვლადიმერ სტეფანიას გუნდში, ლიუბლიანას „ოლიმპიაში" აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, იგი უკვე იყო ამ გუნდში გასასინჯად და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. 23-24 აპრილს ბოისა „ოლიმპიის" აგენტს ელის და ალბათ საბოლოოდ გადაწყდება მისი „ოლიმპიაში" გადასვლა-არგადასვლის საკითხი.

## ახალმა ლიტველებმა ძველებს აჯობეს

ის, რაც ვერ შეძლო საბონისის, ხომიჩუსისა და კურტინაიტისის ბრწყინვალე გუნდმა, მოახერხა ლიტველთა ახალმა თაობამ. კაუნასის „ჟალგირისმა" ბელგრადში მოუგო მილანის სახელგანთქმულ „სტეფანელის" 82:67 (37:33) და ევროთასი მოიპოვა. „ჟალგირისის" შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა ლიტვის ნაკრების წევრმა საულიუს შტრომბერგასმა, რომელმაც 34 ქულა შესძინა თავის გუნდს.

ბავშვთა ქალაქ „მზიურის" საჩოგბურთო კორტებზე ცხადდება 6-8 წლის ბავშვების მიღება. მოზარდები ივარჯიშებენ ევროპისა და სსრკ მრავალგზის ჩემპიონის, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თეიმურაზ კაკულიას ხელმძღვანელობით.

მიღება ყოველდღე, 25 აპრილამდე, 9-დან 10 და 16-დან 20 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ამერიკელებმა ჩვენებურად დასცხეს

**სან ანტონიო 75:99 ლეიკერსი**

**(22:23 20:28 17:22 16:26)**

**სან ანტონიო:** ჯონსონი (10), ჯეკსონი (7), უილიამსი (9), დანკანი (26), პერდიუ (2), პერერა (4), დელ ნეგრო (2), როუზი (5), გირი (8), ბარტონი (2), ლოპაუზი

**ლეიკერსი:** ფიშერი (2), ჯონსი (18), ფოქსი (6), ჰორი (2), ონილი (28), ბრაიანტი (15), კემბელი (4), ვან ექსელი (17), ბლაუნტი (2), ბარი (3), რუქსი (2)

ამ ორი დასავლური გიგანტის შებმას სან ანტონიოს 20,5 ათასა „ალამოდოუმში" თითქმის 27 ათასი მაყურებელი დაესწრო და გუნდებმაც ამათ გასახარად ფიცხელი ბრძოლა გააჩაღეს, თუმცა მხოლოდ საწყის მეოთხედში, მერე კი კალათბურთელებმა, ჩვენებისა არ იყოს, გულშემატკივრებს ჩხუბითა და აყალმაყალით დაახსომეს თავი. ტვინშერყეული რობინსონის გარეშე მოთამაშე მასპინძლები მეორე მეოთხედშივე გატყდნენ და სტუმრებს მხოლოდ ეულად მებრძოლი ახალბედა ტიმ დანკანი შერჩათ, ისიც, კენტად, რას გახდებოდა და ლეიკერსმა შაკის მეთაურობით ერთობ გაილაღა. ამ ნერვებდასაწყვეტ თამაშში მასპინძლები ძლივს იკავებდნენ თავს, მაგრამ გასაწყვეტი ნერვი მატჩის დამთავრებამდე 4,46 წუთით ადრე მაინც გაწყდა: მასპინძელთა 213-სანტიმეტრიანი ცენტრი ვინ პერდიუ მასზე ერთი თავით დაბალ სტუმარ დერეკ ფიშერს შეება და მსაჯმა ორივე გააძევა; ცოტა ხანში მეორე მასპინძელმა, მონტი უილიამსმა, ტაისონივით, სტუმართა 19 წლის ვარსკვლავ კობი ბრაიანტისკენ გაიწია ყურის მოსაჭმელად. ბავშვების ცემა ეგრე არ უნდაო და, ვან ექსელი თანაგუნდელს გამოექომაგა, ატყდა ქუჩური დაკა-დაკა, მატჩი კარგა ხნით შეწყდა და ეს გაწევ-გამოწევა იმით დასრულდა, რომ არბიტრმა ვან ექსელიცა და უილიამსიც პერდიუსა და ფიშერის გზას გაუყენა, იმ განსხვავებით, რომ მეორე წყვილს 2-2 თამაშის გამოტოვება მოუწევს.

# ჯეკსონს ღმერთი გაუწყრა

13 აპრილი

**გოლდენ სტ. 97:105 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი:** კეფი (28+12 მოხსნა), ჯეკსონი (20+9 მოხსნა +8 პასი)

**ფინიქსი:** მაკლაუდი (23), მაკდაიესი (22), რობინსონი (21)

„ფინიქს სანზმა" რვამატჩიან მოგებათა სერიას ერთიც მიამატა, თუმცა სანფრანცისკოელებმა სტუმრებს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს. შეხვედრა სწორედ მათი მცირე უპირატესობით დაიწყო და ათიოდ წუთში სხვაობამ 8 ქულას მიაღწია. ფინიქსი დროულად მოეგო გონს და წინაც გავიდა, მაგრამ მასპინძლებმა 11 ქულაზე მეტით წინ არ გაუშვეს, მესამე მეოთხედის ბოლოს კი სულაც 74:72 დაწინაურდნენ. სტუმართა გამთამაშებელი ჯეისონ კიდი (16 ქულა, 10 პასი), რომელსაც ერთი მოხსნა დააკლდა კარიერაში მე-19 სამმაგ დუბლამდე, დროულად მოეგო გონს და სხვებიც აიყოლია. ათამაშდა ჯორჯ მაკლაუდიც, ვინაც თავისი სამქულიანებით (5 ჩააგდო) თამაშის ბოლო მასპინძელთათვის უიმედო გახადა.

**კლიპერსი 88:107 მინესოტა**

**კლიპერსი:** მიურეი (23+17 მოხსნა)

**მინესოტა:** გარნეტი (23+10 მოხსნა), პილერი (21)

კლიპერსმა ზედიზედ მერვედ წააგო

**ჩიკაგო 105:114 ინდიანა**

**ჩიკაგო:** პიპენი (28), ჯორდანი (27)

**ინდიანა:** მილერი (22), როუზი (22)

როგორც ყოველთვის, მაიკლ ჯორდანს ინდიანასთან თამაში არ წაუვიდა. ჯორდანმა 19 სროლიდან მხოლოდ 7 ჩააგდო. რა თქმა უნდა, კალათბურთის მეფე იმ დღეს კარგ გუნებაზე ვერ იყო და... ჯავრი ინდიანას გამთამაშებელ მარკ ჯეკსონზე (9 ქულა, 13 პასი) იყარა. მესამე მეოთხედის დასაწყისში ეს უკანასკნელი ჯორდანზე დაჯარიმდა, რითაც ის მოიმკო, რომ ნერვებაწეწილმა მაიკლმა ბურთი უთავაზა და არბიტრს ტექნიკურიც დასტყუა. ამის შემდეგ ჩიკაგომ რამდენიმე სამქულიანიც „გაუშვა" და შინ მეოთხე მარცხი იგემა. „ჩიკაგოელებთან ყოველი შეხვედრისას დიდ ბრძოლას ველით, მაგრამ ყოველთვის აყალმაყალს ვაწყდებით" — თქვა მატჩის შემდგომ ინდიანას ლიდერმა რეჯი მილერმა.

**სიეტლი 110:98 ვანკუვერი**

**სიეტლი:** პეიტონი (27)

**ვანკუვერი:** მასენბურგი (22)

14 აპრილი

**იუტა 126:109 მინესოტა**

**იუტა:** მელოუნი (44+14 მოხსნა)

**მინესოტა:** მარბერი (25+13 პასი)

ზედიზედ ხუთჯერ მომგები მინესოტა თავიდანვე გაუტყდა ბრწყინვალედ მოთამაშე მელოუნსა და მის ხელქვეით იუტელებს.

**პორტლენდი 92:66 საკრამენტო**

**პორტლენდი:** უილიამსი (19)

**საკრამენტო:** უილიამსონი (12)

**ჰიუსტონი 94:88 დენვერი**

**ჰიუსტონი:** ელი (23)

**დენვერი:** ელისი (22), ალექსანდერი (22)

ჰიუსტონს მოაგებინა ბებერმა ჰაკიმ ოლაჯუონმა, ვინაც როკიტსს 13 ქულა, 18 მოხსნა, 8 პასი, 6 დაფარება და 4 ჩაჭრა შეაწია.

**მილუოკი 82:104 შარლოტი**

**მილუოკი:** ჯონსონი (16+17 მოხსნა)

**შარლოტი:** რაისი (30)

**დალასი 95:111 ლეიკერსი**

**დალასი:** ფინლი (23+11 მოხსნა +10 პასი)

**ლეიკერსი:** ონილი (34)

ლეიკერსელმა ნიკ ვან ექსელმა ეს თამაში სანანტონიოელ უილიამსთან ჩხუბის გამო გამოტოვა, თან 10 000 დოლარი ჯარიმაც გადაიხადა, თუმცა მის გუნდს ონილის წყალობით პრობლემა არ შექმნია. დალასს ვერც მაიკლ ფინლის სამმაგმა დუბლმა უშველა.

**ნიუ იორკი 102:104 ვაშინგტონი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (23)

**ვაშინგტონი:** მიურეი (27)

დედაქალაქელებს მოაგებინა... მსაჯთა კომისიამ: ალან ჰიუსტონს სირენამდე 0,1 წამით ადრე ჩაგდებული ბურთი არ ჩაუთვალეს.

**ატლანტა 95:94 ფილადელფია**

**ატლანტა:** ჰენდერსონი (39)

**ფილადელფია:** აივერსონი (26)

ატლანტელმა ალან ჰენდერსონმა ოთხწლიან კარიერაში სარეკორდო 39 ქულა გააზერხა. ასევე სანიმუშოდ გაისარჯა ჯორჯიელთა გამთამაშებელი, ანემიაშეყრილი მუკი ბლეილოკი. 186-სანტიმეტრიანმა ბლეილოკმა 14 ქულით, 11 პასით და 10 ჩაჭრით სეზონში მეორე, კარიერაში კი მეექვსე „ტრიპლ დაბლი" გააზერხა და ამ ჩია კაცს ბედი რომ ჰქონოდა და ორი მოხსნით მეტი გაეკეთებინა, ლიგაში ერთობ იშვიათი ოთხმაგი დუბლის ავტორი შეიქნებოდა.

**კლივლენდი 95:86 ბოსტონი**

**კლივლენდი:** კემპი (22+10 მოხსნა)

**ბოსტონი:** უოლკერი (31+14)

**ნიუ ჯერსი 92:96 ტორონტო**

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (25+16 მოხსნა),

**ტორონტო:** კრისტი (23)

ტორონტოს გამარჯვება იმითაცაა დასაფასებელი, რომ კანადელებმა პლეიოფში მოსახვედრად მებრძოლ გუნდს სძლიეს, თანაც ბოლო მეოთხედში ხუთ ქულას აგებდნენ. აღსანიშნავია ტორონტოელი მარკუს კემბის სამმაგი დუბლიც 15 ქულით, 12 მოხსნით და 11 დაფარებით, რაც პირველია მის კარიერაში, 11 დაფარება კი მისი და კლუბის რეკორდიც გახლავთ.

**ირაკლი ფირაშვილი**

„სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 06;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული

# ახალი ქართული სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

ოლიმპიზმი

# სპორტის ცოდვა ფინანსთა სამინისტროს კისერზეაო

154 ფოტო, უამრავი ხალხი, ნასიამოვნები იერი, ჩინოსანი თუ უჩინონი... გუშინ, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე გალერეა TMS-ში ჩვენი კოლეგის ავთანდილ გურასაშვილის ფოტონამუშევართა პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ტკბილი სიტყვა და ოსტატობის დაფასება — აი, ის, რაც არ დაიშურეს სიტყვით გამომსვლელებმა. ეს გამოფენა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის თაოსნობით მოეწყო. სპორტისა და ხელოვნების დამფასებელნო, მიბრძანდით და ისიამოვნეთ. ფოტოთაგან, რომელთა უმეტესობა ნაგანოში, ოლიმპიური თამაშებისასაა გადაღებული, მხილველის მზერას უეჭველად გამორჩეულად მიიპყრობს ის ნამუშევარი, რომელიც ტოკიოს პირველ მსოფლიო სპორტულ ფოტოკონკურსზე შერჩეულთა შორის მოხვდა, იმავე კონკურსის საგანგებო კატალოგში დაიბეჭდა და ტოკიოს ფოტოგრაფიული ხელოვნების მუზეუმში იყო ექსპონირებული. ამ ფოტოს „ყველას თავის აქვს საზრუნავი“ ჰქვია. მოკლედ, „ნაგანო-98“ ის გამოფენაა, რომელიც ნაღდ ფოტოხელოვანს გაგაცნობთ.

ეს ყოველივე ორ საათზე იყო, მერე კი ერთი, ფრიად სასიამოვნო და სპორტული ჟურნალისტებისთვის უჩვეულო რამ მოხდა: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მორიგი აღმასკომის სხდომაა. უჩვეულო თითქოს არაფერია, მაგრამ... სეოკმა ისეთი რამ გააკეთა, რომელსაც სხვებიც თუ მიბაძავენ, თუნდაც ფეხბურთის ფედერაცია (ერთადერთი მიწვეულთაგან, რომლის წარმომადგენლებიც არ გამოცხადდნენ), ძალიან კარგი და საერთო საქმისთვის სასარგებლო იქნება: სხდომას ჟურნალისტებიც დაგვასწრეს. გასარჩევ-მოსახსენებელიც ჩვენს თვალწინ მოხდა, მანამდე კი მადლობა გადაგვიხადეს ნაგანოს თამაშების გაშუქებისთვის.

დღის წესრიგში ათი საკითხი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შპს „ყაზბეგისა“ და საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ გოგი თოფაძის გამოსვლა გახლდათ:

...თუ ასე გაგრძელდა და ზამთრის სახეობათა ფედერაციას არ დაეხმარნენ, უბრალოდ, იძულებულნი ვიქნებით, დეპარტამენტის შემადგენლობიდან გამოვიდეთ, ცალკე, დამოუკიდებელ ფედერაციას შევქმნით. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. მოგვცენ ის ფული, რომელიც ვითომ გვარგუნეს, მაგრამ რომელსაც მხოლოდ გაუთავებლად გვპირდებიანო — თქვა აღმასკომის სხდომის მასპინძელმა გოგი თოფაძემ. მერე სეოკის თავმჯდომარემ, ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა თემა უფრო განავრცო, ბოლოს კი, სპორტის დეპარტამენტის უფულობა დეპარტამენტის ბრალი არაა, ფინანსთა სამინისტროა დამნაშავე, რომელიც ფულს არ გვაძლევსო — დაამატა და ისიც განაცხადა, რომ სეოკს შპს „ყაზბეგის“ ვალი, 60000 ლარის ოდენობით კიდევ გასასტუმრებელი აქვს. ფინანსთა სამინისტრომ არ იცის, რა უნდა, ანდაც შესრულება არ სურსო. ჯანო ბაგრატიონი კატეგორიული იყო, ვეტერანებისთვის მისაცემი 200 ლარის ნაცვლად, მათ ოდენ 70-70 დავურიგეთო. სპორტს შეღავათი ეკუთვნის, პრიორიტეტული დარგია და იმიტომ, ეს ედუარდ შევარდნაძემაც აღნიშნაო — გაცხარდა ბაგრატიონი.

შემდეგ სხვადასხვა დადგენილებაც მიიღეს, სეოკის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა ემზარ ზენაიშვილმა მოსკოვის მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისზე ისაუბრა, ყველაფერი ახსნა, მოსკოვში წამსვლელთა მოსაზრებებსაც ყური დაუგდო, სეოკის აღმასკომის წევრებმა შეძლებისდაგვარი დახმარება აღუთქვეს მწვრთნელებსა და შესაბამის ფედერაციებს, დასასრულს კი ემზარ ზენაიშვილმა ერთი სასიამოვნო ამბავი გვამცნო — სპორტის 12 სახეობის 18 წარჩინებულ წარმომადგენელს 50-დან 400 ლარამდე სეოკის სტიპენდიები დაენიშნათ. მერე კი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ასოციაციის საპატიო წევრობა მიულოცა საუკეთესო ქართული ლუდის, „ყაზბეგის“ პრეზიდენტს და წლის საუკეთესო მეწარმეს გოგი თოფაძეს. მეწარმე და კაცი ვარო, სწორედ ბატონ გოგის ეთქმის, ნაგანოს ოლიმპიადაში ქართველთა მონაწილეობა ხომ, ფაქტობრივად, მის კისერზეა.

**კობა ინასარიძე**

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# დათვებმა ზანგი გაწვრთნეს

**ბუფალო — ფილადელფია 2:1**

**შაიბები: ლეკლერი 50 (0:1), ბრაუნი 12 (1:1), გროშეკი 10 (2:1)**



ფილადელფიელ ბრინდამორს აკრობატული ნახტომი ნამდვილად არ უხდოდა

„მფრინავთა“ გულშემატკივრები თვეზე მეტი ელოდნენ ამ დღეს. როგორც იქნა, უმძიმესი ტრავმის შემდეგ ყინულს დაუბრუნდა მათი კერპი ერიკ ლინდროსი. როგორც თავად ფორვარდმა განაცხადა, იგი სრულიად გამოჯანმრთელდა და ეს მატჩის დასაწყისმაც დაადასტურა: ენერგიამოზღვავებულმა ლინდროსმა პირველივე ცვლაში მიაჭყლიტა ბორტს ბუფალოელი უილსონი და მეტად აქტიურად შეუტია მეტოქის კარს. სწორედ ლინდროსის მოედანზე ყოფნისას გახსნეს სტუმრებმა ანგარიში — ჯონ ლეკლერმა, წლეულს მეორემ, თანაც ზედიზედ მეორე სეზონში, 50-შაიბიან ზღვარს მიაღწია. მაგრამ ლინდროსს თანდათან მოაკლდა ენთუზიაზმი და მასინძლებმა, რომელთაგან 30 მოგერიებით კვლავ დომინიკ ჰაშეკმა თქვა თავისი სიტყვა, ხელთ იგდეს ინიციატივა. საბოლოოდაც მათ გაიმარჯვეს, თუმცა როგორც „მფრინავთა“ მწვრთნელმა როჯერ ნილსონმა აღნიშნა, ლინდროსი მეტად საჭირო დროს დაბრუნდა და პლეი ოფამდე ჩვეულ ფორმასაც აღიდგენს.

**13 აპრილი. კაროლინა — ბოსტონი 2:3, აილენდერსი — ვაშინგტონი 0:2, ტამპა — ოტავა 2:3, ლოს ანჯელესი — კალგარი 4:2, ანაჰაიმი — კოლორადო 2:2**
**14 აპრილი. ვაშინგტონი — რეინჯერსი 3:1, ფლორიდა — ოტავა 2:3, ფინიქსი — დეტროიტი 2:1**

აღმოსავლეთის ბოლო, მერვე საპლეი-ოფო საგზურისთვის ბრძოლა, რომელიც, სავარაუდოდ, ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს უნდა დასრულებულიყო, სრულიად მოულოდნელად ორშაბათსა და სამშაბათს დამთავრდა. ოტაველებმა ორი მატჩი მოიგეს და ზედიზედ მეორედ გავიდნენ თასის ფინალში. მართალია, მათ არცთუ ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ, მაგრამ კანადელები სტუმრად თამაშობდნენ, გარდა ამისა, ნჰლ-ში ნებისმიერ გუნდს შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. გადამწყვეტ მატჩებში „სენატორთა“ წარმატება გუნდის ლიდერმა ალექსეი იაშინმა განაპირობა. ჯერ იყო და, ტამპასთან შეხვედრაში მისი პასის შემდეგ გაიხსნა ანგარიში (მიურეი), მესამე პერიოდში კი, როცა სტუმრებმა ორშაიბიანი უპირატესობა გაანიავეს, ახალგაზრდა ფილიპსმა (5) სწორედ იაშინის წამოწყებული კომბინაცია დაასრულა უძლიერესი დარტყმით.

არანაკლებ დაძაბული იყო ფლორიდასთან ორთაბრძოლა. იაშინისა (1+1,33) და შვედი დაკელის (1+1,15) წყალობით 3:0 დაწინაურებულმა „სენატორებმა“ ბოლო წუთებზე ლამის უსიამოვნება დაიტეხეს თავს და ორი გაშვებული შაიბის შემდეგ ძლივს შეინარჩუნეს უპირატესობა.

ათამაშებულმა კაროლინამ კი, რომელიც რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ერთხანს სერიოზულ კონკურენტად ექცა „სენატორებს“, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ის, რომ ასე ნაადრევად გამოეთიშა მერვე საგზურისთვის ბრძოლას. ტორონტოში გულდასაწყვეტმა მარცხმა საგრძნობლად შეამცირა „ქარიშხლების“ შანსები, ბოსტონთან წაგებამ კი მათ საბოლოოდ გადაუღობა გზა პლეი ოფისკენ. სხვათა შორის, ბოსტონელთა შავკანიანი თავდამსხმელის ენსონ კარტერის გოლმა უკვე მესამედ მოაგებინა „დათვებს“.

ვაშინგტონის მწვრთნელმა რონ უილსონმა კი თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილებით გააოცა ლიგა. მან აილენდერსისა და რეინჯერსის მძლეველ კლუბს ორდღიანი შესვენების უფლება მისცა (თანაც „კეპიტალსს“ შაბათამდე არ ელოდა თამაში) და ოთხშაბათს მთელი შემადგენლობით ესტუმრა ჩრდილოეთ კაროლინას გოლფის სათამაშოდ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხუთი ლიდერის გარეშე მოასპარეზე დედაქალაქელებმა ეს ნამდვილად დაიმსახურეს. მშვენივრად მოერგო გუნდს გერმანიიდან გამოძახებული ბრაიან ბელოუზი, რომელმაც გადამწყვეტი შაიბა შეუგდო აილენდერსს.

კოლორადოს თითქოსდა ყველა პირობა ჰქონდა, ნავსი რომ გაეტეხა: ჯერ ერთი, ზედიზედ მესამედ გაიმარჯვებდა დივიზიონში, მეორეც, ექვსი თანმიმდევრული მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგებდა, მით უმეტეს, აუტსაიდერ მეტოქეს უამრავი საკადრო პრობლემით გულშეწუხებულ ანაჰაიმს უპირისპირდებოდა. პოლ კარიას გარდა, „იხვებს“ ორი წამყვანი ფორვარდი — საზარდულ დაშავებული ტეემუ სელიანე და სტივ რუჩინი აკლდათ. ანაჰაიმს აგრეთვე არ ჰყავდა ძირითადი მეკარე მიხაილ შტალენკოვი, რომლის შემცვლელი ტომ ესკიც ძალიან ღელავდა და გუსაროვისა (4) და ფუტის იოლი შაიბების გაშვების შემდეგ მასპინძლები 0:2 აგებდნენ. თუმცა „იხვებმა“ შეძლეს წონასწორობის აღდგენა: იმარჯვეს იშვიათად გამტანმა ჯემი პუშორმა (2 პასი) და ბრენტ სევერინმა (პირველი გოლი 1997 წლის იანვრის შემდეგ), ოვერტაიმში კი იანგმა ლამის შეარცხვინა ფავორიტი. ყოველივე ამან დივიზიონის პირველობის მცირე შანსი შეუნარჩუნა ლოს ანჯელესს, რომლის წამყვანმა ფორვარდმა გლენ მიურეიმაც (29) სეზონში პირველი ჰეთ-ტრიკი შეასრულა კალგარისთან მატჩში.

დაბოლოს, აღვნიშნავთ დეტროიტის მარცხს. მისმა მეტოქემ, პლეი ოფის საგზური გაინაღდა თუ არა, ოთხი ლიდერი დაასვენა, მაგრამ ფავორიტს „კოიოტების“ ახალგაზრდებმა — ისბისტერმა (2 პასი) და დოუნმა (5) გაუჭირეს საქმე.

**სამველ ლარიბიანი**

აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი* | 79 | 47 | 10 | 22 | 218:159 | 104 |
| ფილადელფია* | 79 | 41 | 11 | 27 | 233:186 | 93 |
| პიტსბურგი* | 79 | 37 | 18 | 24 | 214:184 | 92 |
| ვაშინგტონი* | 80 | 38 | 12 | 30 | 213:198 | 88 |
| ბუფალო* | 79 | 36 | 16 | 27 | 203:117 | 88 |
| ბოსტონი* | 79 | 37 | 13 | 29 | 211:186 | 87 |
| მონრეალი* | 79 | 36 | 12 | 31 | 228:199 | 84 |
| ოტავა* | 70 | 33 | 15 | 32 | 191:197 | 81 |
| კაროლინა | 79 | 33 | 8 | 38 | 195:209 | 74 |
| აილენდერსი | 79 | 28 | 11 | 40 | 204:220 | 67 |
| რეინჯერსი | 80 | 23 | 18 | 39 | 191:228 | 64 |
| ფლორიდა | 80 | 24 | 14 | 42 | 198:247 | 62 |
| ტამპა | 79 | 17 | 9 | 53 | 148:258 | 43 |

დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი* | 79 | 47 | 11 | 21 | 234:162 | 105 |
| დეტროიტი* | 80 | 44 | 15 | 25 | 246:189 | 103 |
| სენტ ლუისი* | 79 | 42 | 8 | 29 | 239:194 | 92 |
| კოლორადო* | 80 | 37 | 17 | 26 | 223:201 | 91 |
| ლოს ანჯელესი* | 79 | 37 | 11 | 31 | 221:214 | 85 |
| ფინიქსი* | 80 | 34 | 12 | 34 | 217:220 | 80 |
| ედმონტონი | 80 | 33 | 10 | 37 | 206:218 | 76 |
| სან ხოსე | 79 | 33 | 9 | 37 | 202:208 | 75 |
| ჩიკაგო | 79 | 30 | 12 | 37 | 188:192 | 72 |
| ტორონტო | 79 | 28 | 9 | 42 | 186:230 | 65 |
| კალგარი | 79 | 25 | 14 | 40 | 209:243 | 64 |
| ვანკუვერი | 79 | 25 | 14 | 40 | 221:265 | 64 |
| ანაჰაიმი | 79 | 25 | 13 | 41 | 195:250 | 63 |

* გავიდნენ პლეი ოფში

# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXXI ტური**

17 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — კიოლნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დუისბურგი — ვოლფსბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 18 აპრილი | | | |
| კარლსრუე — შალკე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მიუნხენ 1860 — ჰერტა | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| არმინია — ბაიერნი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| ლევერკუზენი — ჰამბურგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| დორტმუნდი — გლადბახი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| ჰანზა — კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 18 აპრილი | | | |
| შტუტგარტი — ბოხუმი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVII ტური**

17 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზტ. პაული — ნიურნბერგი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| მაინცი — კოტბუსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| უნტერჰახინგი — ლაიპციგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 19 აპრილი | | | |
| გიუტერსლო — დიუსელდორფი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ფიურტი — ფრაიბურგი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ცვიკაუ — კიკერსი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| მეპენი — კარლ ცაისი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| ფორტუნა — ვატენშაიდი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 20 აპრილი | | | |
| ურდინგენი — აინტრახტი | 2,6 | 2,7 | 2,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXV ტური**

18-20 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — უიმბლდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბარნსლი — ტოტენჰემი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ვესტ ჰემი — ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| საუთჰემპტონი — ასტონ ვილა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ბოლტონი — ლიდსი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ქოვენთრი — ლივერპული | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჩელსი — შეფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ევერტონი — ლესტერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კრ. პალასი — დერბი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XLIV ტური**

17-19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — სვინდონი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ბრედფორდი — ქუინზ პარკი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ჩარლტონი — პორტსმუთი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ჰადერსფილდი — ბრომვიჩი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| იფსვიჩი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| მიდლსბრო — სიტი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ოქსფორდი — ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შეფილდი — ბერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| სტოკპორტი — ნოტინგემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სტოკი — ნორვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სანდერლენდი — ქრიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ვულვზი — რედინგი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXX ტური. 19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ფიორენტინა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ბოლონია — მილანი | 2,3 | 2,8 | 2,8 |
| ემპოლი — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ინტერი — უდინეზე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ლეჩე — პარმა | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ნაპოლი — სამპდორია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| პიაჩენცა — ბარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რომა — ბრეშა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ვიჩენცა — ლაციო | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. 18-19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — პადოვა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კიევო — ლუკეზე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| დი სანგრო — პერუჯა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ფ. ანდრია — კალიარი | 2,8 | 2,8 | 2,3 |
| ფოჯა — მონცა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჯენოა — ვერონა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| პესკარა — ტრევიზო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რავენა — სალერნიტანა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ტორინო — რეჯინა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვენეცია — რეჯანა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIV ტური**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — სარაგოსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| 19 აპრილი | | | |
| ვალენსია — სოსიედადი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| დეპორტივო — სალამანკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სპორტინგი — ატლეტიკო | 5,6 | 4,0 | 1,4 |
| ტენერიფე — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მალიორკა — ესპანიოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| რასინგი — მერიდა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| რეალი — ოვიედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ვალიადოლიდი — სელტა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ბილბაო — კომპოსტელა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXVIII ტური**

18-19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხაენი — ორენსე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სერესი — ლეიდა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| ელჩე — ლას პალმასი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ესტრემადურა — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბადახოსი — ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოგრონიესი — ტოლედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სევილია — ვილიარეალი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ატლეტიკო B — რაიო | 2,3 | 2,8 | 2,8 |
| ლეგანესი — ერკულესი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ალავესი — ოსასუნა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ლევანტე — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. 17 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კანი — ლანსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| მეცი — ნანტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18 აპრილი | | | |
| ბასტია — მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მონაკო — ტულუზი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ოსერი — მარსელი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| სტრასბური — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პსჟ — ბორდო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შატორუ — ლიონი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| რენი — გინგამი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XXX ტური. 17 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — სეტუბალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18 აპრილი | | | |
| ბოავიშტა — ვარზიმი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| გიმარაეში — პორტუ | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 19 აპრილი | | | |
| სალგეირუში — ბელენენსეში | 1,15 | 6,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ბენფიკა — მარიტიმუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| შავეში — ამადორა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| რიუ ავე — აკადემიკა | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| ფარენსე — ლეცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბრაგა — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XXX ტური. 17-19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტერლო — ლოკერენი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ბევერენი — მუსკრონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლიერსი — გენტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ჰარელბეკი — შარლერუა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ანტვერპენი — სტანდარდი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| სტ. ტრუიდენი — ანდერლეხტი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| ბრიუგე — ეკერენი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მოლენბეკი — გენკი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ლომელი — აალსტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. 18-19 ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| კილმარნოკი — დანდი იუნ. | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| დანფერმლ. — ჰიბერნიანი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| სელტიკი — მოზერველი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,6 |
| ჰართსი — სტ. ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. XXX ტური. 18-19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ადმირა — ლინცერი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| აუსტრია — ლუსტენაუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| გრაცერი — რაპიდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რიდი — შტურმი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| ზალცბურგი — ტიროლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. VIII ტური. 18-19 ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| არაუ — ციურიხი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| გრასჰოპერი — ლუცერნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სიონი — ლოზანა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სენტ გალენი — სერვეტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

**რუსეთის ჩემპიონატი. IV ტური. 18 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| როტორი — ზენიტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| შინიკი — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბალტიკა — ურალანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ტიუმენი — ალანია | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| სპარტა — ჟემჩუჟინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ცსკა — დინამო | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ტორპედო — ლოკომოტივი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| როსტსელმაში — კრილია | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**თურქეთის ჩემპიონატი**

17 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| გენჩლერბირლიგი — ბურსა | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 18 აპრილი | | | |
| დარდანელი — გალათასარაი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| ტრაბზონი — ისტანბული | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 19 აპრილი | | | |
| ბეშიქთაში — ვანსფორი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ანთალია — ფენერბაჰჩე | 4,4 | 3,4 | 1,6 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

17 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაასტრიხტი — სიტარდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეინდჰოვენი — ვოლენდამი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ტილბურგი — ჰერენვენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სპარტა — ნაიმეგენი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| ბრედა — ფეიენორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| უტრეხტი — გრააფსხაპი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19 აპრილი | | | |
| გრონინგემი — აიაქსი | 5,0 | 3,6 | 1,5 |

**კვირას, 19 აპრილს, კროკო არ იმუშავებს**

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# უკანასკნელი ტანგო ტოკიოში

ბარსელონა. ესპანეთი.
CONDE DE GODO-ს პირველობა.
ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 825 000 $



მარატ საფინი

როგორც ეტყობა, 18 წლის რუსი მარატ საფინი საჩოგბურთო სამყაროს მხოლოდ დევისის თასზე აშშ-ის ნაკრებთან წაგებული სამი მატჩით არ დაამახსოვრებს თავს. ორმეტრიანმა ჭაბუკმა, ჯიმ კურიესთან გადამწყვეტი ხუთსეტიანი ბრძოლისას მთელი ამერიკა რომ ანერვიულა, ამჯერად სენსაციური გამარჯვებით აალაპარაკა საერთაშორისო სპორტული სააგენტოები: გამოცდილი შვედი, ბარსელონას ბოლოდროინდელ ტურნირზე თარს, მეცამეტე ნომრად განთესილი მაგნუს ლარსონი დაამარცხა 6:3, 6:2. ახალგაზრდა რუსმა თავისი წარმატება მეტოქის ცუდ ფორმაში ყოფნით ახსნა, მერე კი ტურნირის ორგანიზატორებს „უაილდ ქარდით“ მიწვევისათვის მადლობა გადაუხადა, ვერც წარმოვიდგენდი ასეთ დიდ პირველობაზე თუ მოვხვდებოდიო. „ასეთ ატმოსფეროში თავი პირველად ამოვყავი. აქ ყველა სასტუმრო ხუთვარსკვლავიანია და ვარჯიშის დროსაც კი ახალ ბურთებს გაძლევენ — სატელიტებზე ამას ვერ ეღირსები“.

სხვათა შორის, საფინს დევისის თასზე დასანანი მარცხის შემდეგ დრო არ დაუკარგავს — მეორე დღესვე იტალიაში გადაფრინდა, ჰარდიდან უპრობლემოდ გადაერთო თიხნარის საფარზე და ერთ-ერთი მცირე ტურნირის ფინალსაც უწია. თიხნარის ეს სიყვარული კი თურმე იმით აიხსნება, რომ 1994-ში 14 წლის რუსს სპონსორი გამოსჩენია და სავარჯიშოდ ნელი კორტების სამშობლოში — ესპანეთში გადაბარგებულა.

ტურნირზე კიდევ ერთი დიდი მოულოდნელობის ავტორი, კლასიფიკაციით 317-ე ესპანელი რობერტო კარეტერო გახდა, რომელმაც ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანსა და ამ პირველობას ჯერ კიდევ 1993 წლის გამარჯვებულს, უკრაინელ ანდრეი მედვედევს (11) აჯობა 7:6 (7:5), 7:6 (9:7). კარეტეროს, რომელსაც გასული წლის სექტემბერში მიღებული ტრავმის გამო სეზონის ბოლო გაუცდა, შარშანდელი როლან გაროსის შემდეგ ერთი მატჩიც კი არ ჰქონდა მოგებული, წინა კვირის ეშტორილის პირველობაზე კი კვალიფიკაციის პირველივე წრეში დამარცხებულა.

იოლი მატჩები პირველ წრეში არც სხვა განთესილებს ჰქონიათ. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულს, ესპანელ ალბერტ კოსტას (9) კარგა ხანი დასჭირდა ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტის მძლავრი მოწოდებისა და ძლიერი ქარის მოსარჯულებლად, თუმცა მესამე ხელში პრობლემები უკვე აღარ შექმნია 4:6, 6:3, 6:1. კლასიფიკაციაში უფსკრულისკენ შეუჩერებლად მოსრიალე ტომას მუსტერსაც (12) დიდი ოფლისღვრა დასჭირდა ურუგვაელი მარსელო ფილიპინის წინააღმდეგობის გადასალახავად 6:3, 2:6, 6:2. ბარსელონის 1995-96 წლების ტრიუმფატორსა და თიხნარის ყოფილ მეფეს მთელი წინა სეზონის განმავლობაში ამ საფარზე ნახევარფინალისთვისაც კი არსად მიუღწევია, ამიტომ თავისი ახლანდელი ფორმითა და გასულ კვირაში ეშტორილის პირველობის ფინალისტობით იგი მაინცდამაინც უკმაყოფილო სულაც არ არის, შარშანდელი შედეგები უკვე 200 პროცენტით გავაუმჯობესეო, აი, ბარსელონური ამინდით კი აღფრთოვანება არ გამოუთქვამს, ასეთი ქარი საიალქნოდ უფრო გამოდგება, ვიდრე ჩოგბურთის სათამაშოდო.

**პირველი წრე: ჯეფ ტარანგო (აშშ) — ფაბრის სანტორო (10, საფრანგეთი) 6:3, 6:1; უეინ ფერერა (15, სამხრეთ აფრიკა) — ტატი რასკონი (ესპანეთი) 6:3, 6:2; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ხუან ალბერტო ვილოკა (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:0), 7:5; მაგნუს გუსტაფსონი (14, შვედეთი) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:1, 6:1; ფილიპ დევულფი (ბელგია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:2, 6:4**

მეორე წრიდან თამაშში მთლად ბობოლებიც ჩაერთვნენ. პირველად განთესილ რუს ევგენი კაფელნიკოვს, 1996 წლის როლან გაროსის ჩემპიონს, საათი და 51 წუთი დასჭირდა მსოფლიოს 144-ე ჩოგნის — ესპანელი ფრანსისკო როიგის დასამარცხებლად. თანაქალაქელთა ხმაურიანი მხარდაჭერით გამხნევებულმა როიგმა, რომელიც წყვილებში თამაშის სპეციალისტად ითვლება, მეტოქის მძლავრ დარტყმებს დროული შემოკლებულები და ბადესთან გასვლები დაუპირისპირა და მეორე სეტის შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ კარიერის ყველაზე დიდი გამარჯვებისთვის ძალა მაინც არ ეყო — 6:4, 4:6, 6:4 რუსის სასარგებლოდ. კაფელნიკოვმა თავისი სუსტი თამაში საფარის გამოცვლით ახსნა, თიხნარზე ივლისის მერე არ მითამაშია და ჯერაც ვერ შევეჩვიეო.

სოჭელი ჟენიასგან განსხვავებით, მეორედ განთესილ ესპანელ ალექს კორეჩას მერვედფინალში გასვლა არ გასჭირვებია — მან თანამემამულე ალბერტო მარტინს მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი გეიმი დაანება 6:1, 6:0. აი, სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა (15) კი, პირველი სეტის მოგების მიუხედავად, მაინც შეეწირა იტალიელ ანდრეა გაუდენცის 4:6, 6:1, 6:2.

ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 575 ათასი $

იაპონიის ღია პირველობის პირველი წრის მატჩი ამომავალი მზის ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო კაცი ჩოგბურთელის — შუზო მაცუოკასთვის კარიერაში უკანასკნელიც აღმოჩნდა. გამოსათხოვარი ტურნირი მას შვეიცარიელმა ივო ჰოიბერგერმა ჩაამწარა, რომელმაც 30 წლის მეტოქეს 6:3, 6:3 აჯობა. „წესით ცუდ ხასიათზე იმიტომ უნდა ვიყო, რომ ჩოგბურთს ვეთხოვები, მაგრამ სინამდვილეში დღევანდელმა თამაშმა უფრო გამაღიზიანა, მეხომ მისი მოგება შემეძლო“ — განაცხადა მაცუოკამ, რომელმაც შეხვედრაში რეიდან ვერც ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ გამოიყენა. სანუგეშოდ შუზოს ისღა დარჩა, რომ ამ შაბათს ტოკიოში ტელევიზიის ახალი ამბების წამყვანზე ქორწინება არ ასცდება, მასთან ერთად კი პირველივე წრიდან იაპონელების მთელი ჯგრო გავარდა.

ისე, შუზოს ყველა დროის საუკეთესო კი ჰქვია, მაგრამ აღსაფრთოვანებელი შედეგები არასოდეს ჰქონია — კლასიფიკაციაში მისი საუკეთესო ადგილი 46-ეა, სატრაბახოდ კი მხოლოდ 1995 წლის უიმბლდონის მეოთხედფინალში ასპარეზობა შერჩენია, როდესაც ფარ-ხმალი მომავალი ჩემპიონის — პიტ სამპრასის წინააღმდეგ დაყარა. თუმცა ქალებისგან განსხვავებით, რომელთაგან სამი — კიმიკო დატე, ნაოკო სავამაცუ და უკანასკნელ ხანებში აი სუგიამაც საუკეთესოთა ოცეულში შედიოდნენ, იაპონელი კაცები მაცუოკას მსგავსი მიღწევებითაც კი ვერ დაიკვეხნიან.

**პირველი წრე: ბაირონ ბლექი (10, ზიმბაბვე) — ჯონათან სტარკი (აშშ) 3:6, 7:6 (7:2), 6:4; მიქაელ ტილსტრომი (13, შვედეთი) — კენტარო მასუდა (იაპონია) 4:6, 6:3, 6:0; სტივ კემპბელი (9, აშშ) — ენდრიუ რიჩარდსონი (ინგლისი) 7:6 (7:2), 6:4; დანიელ ვაჩეკი (12, ჩეხეთი) — ვინჩენცო სანტოპადრე (იტალია) 6:1, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (11, აშშ) — სტეფანო პასკოსოლიდო (იტალია) 6:3, 6:2**

გასულ კვირაში ინდურ მადრასში გამარჯვებული პატრიკ რაფტერი კი ირწმუნებოდა, საუკეთესო ფორმა დავიბრუნეო, მაგრამ ტოკიოში ამისი არაფერი ეტყობოდა. ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა რამდენჯერმე გააფუჭა იოლი სმეში, მიღებაზე საკუთარ რიტმს ვერაფრით მიაგნო და პირველი სეტის წაგება ჩოგნის შუაზე გადატეხვით აღნიშნა. ამით გულმოცემულმა მეტოქემ — კლასიფიკაციაში 181-ე საფეხუროსანმა ამერიკელმა ბრაიან მაკფიმ მეორე ხელშიც გაილაღა და ნერვებაშლილ ავსრალიელს ტაიბრეიკზე მოუღო ბოლო 6:3, 7:6 (7:4), მატჩის შემდეგ კი განაცხადა, საუკეთესო ათეულში ყველა თუ რაფტერივით თამაშობს, იქ ალბათ, მეც მალე მოვხვდებიო.

როგორც იქნა, გამარჯვება ჩაიწერა აქტივში აზიის ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა მაიკლ ჩანგმაც. ჩინური წარმოშობის ამერიკელს მუხლის ტრავმის გამო ინდიან უელსიც გაუცდა და ლიპტონის ჩემპიონატიც, წინა კვირაში კი ჰონგკონგის ტურნირზე პირველივე წრეში გავარდა. საუკეთესოთა ათეულიდან გავარდნილმა მაიკლმა ორი თვის განმავლობაში პირველ წარმატებას ჰოლანდიელ იონ ვან ლოტუმთან შეხვედრაში მიაღწია 6:4, 6:4 და ამას წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი უწოდა.



შუზო მაცუოკა

**მეორე წრე: ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 6:2, 7:5; დავიდ პრინოშილი (გერმანია) — ტომას იოჰანსონი (4, შვედეთი) 6:3, 6:3; დევიდ დილუჩია (აშშ) — კენეტ კარლსენი (8, დანია) 4:6, 6:3; 6:3; სენდონ სტოლი (ავსტრალია) — ვინსენტ სპადეა (5, აშშ) 6:3, 6:0; რაინერ შუტლერი (გერმანია) — მარტინ დამი (6, ჩეხეთი) 6:4, 6:2**

ავთანდილ სვანიძე



# მაკლარენი შეჯიბრებისთვის მზადება

„არგენტინის დიდი პრიზის“ წინ ფავორიტად „მაკლარენის“ გუნდი ითვლებოდა. მას ყველა პირობა ჰქონდა, ზედიზედ მესამე გამარჯვებისთვის მიეღწია — შესანიშნავი შასი, მძლავრი ძრავი, „ბრიჯსტოუნის“ საბურავები და ორი ძლიერი პილოტი. მაგრამ „ფერარიმ“ და „გუდიარმა“ უფროსი შუმახერის ძალისხმევით ჩამოიტოვეს „მაკლარენი“. აი, რას ფიქრობდნენ რბოლის წინ გუნდების ხელმძღვანელები და პილოტები და როგორ შეაფასეს მერე გასრულებული ასპარეზობა.

„ფერარელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ არგენტინაში „მაკლარენს“ მიუახლოვდებოდნენ, რის საფუძველსაც ტესტებზე ნაცადი ტექნიკური სიახლენი და „გუდიარის“ ახალი საბურავები აძლევდა. თანაც არგენტინაში „ფერარის“ უამრავი თაყვანისმცემლის მხარდაჭერა ელოდა. შუმი მაინც ფრთხილობდა და აცხადებდა, რბოლა რთული იქნება, რადგან ტრასა მეტად სრიალა და ოღროჩოღრო გახლავთ და სულ ადვილად შეიძლება, მის მიღმა აღმოჩნდეო. დიდი მნიშვნელობა პიტ-სტოპების სწორად დაგეგმვასაც.

კვალიფიკაციის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელი ჟან ტოდტი და შუმახერი ერთობ კმაყოფილნი იყვნენ მოპოვებული სასტარტო პოზიციით და ქებას არ აკლებდნენ „გუდიარის“ ახალ, უფრო განიერ წინა საბურავებს, რომლებმაც გუნდს ბოლიდის უკეთ დარეგულირების საშუალება მისცა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რბოლა წარმატებული იქნებოდა.

„ფერარისთვის“ რბოლამ მართლაც შესანიშნავად ჩაიარა, გუნდს ბედიც სწყალობდა და მისმა პილოტებმა პირველი და მესამე ადგილები დაიკავეს. აკი განაცხადა კიდეც ტოდტმა პრესკონფერენციაზე: „ყველაფერი საუცხოოდ მიმდინარეობს. კვალიფიკაციამ დაგვარწმუნა, რომ „გუდიარის“ ახალი საბურავები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულა, იგივე გამოჩნდა რბოლაშიც. ორი პიტ-სტოპის დაგეგმვაც საუკეთესო გადაწყვეტილება გახლდათ. გუნდმა შესანიშნავად იმუშავა, თუმცა მიხაელის კულჰარდთან შეჯახებისას ძალიან ვინერვიულეთ. მეორედაც ავღელდით, შუმი ტრასის მიღმა რომ აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და ირვინმაც თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში“.



მიხაელ შუმახერი და დევიდ კულჰარდი რბოლამდე მშვენიერ ხასიათზე იყვნენ

გამარჯვებულმა კი ასე დაახასიათა რბოლა: „სტარტზე უხეიროდ გავისარჯე. საერთოდ, ეს პრობლემა უნდა მოვაგვარო. მერე იყო ინციდენტი კულჰარდთან. იგი ფართოდ შევიდა მოსახვევში, მე გასწრება ვცადე, მან კი „კარი მომიჯახუნა“. ამის შემდეგ მანქანა ოდნავ დაზიანდა, მარჯვენა მოსახვევებში მანევრირება ჭირდა. ჩემმა მექანიკოსებმა შესანიშნავად იმუშავეს და მეორე პიტ-სტოპის შემდეგ ლიდერობა შევინარჩუნე. რბოლის მიწურულს ოდნავ მოვეშვი და მოსახვევში კონტროლი დავკარგე, რის გამოც ბალახში მომიწია გასეირნებამ. მინდა, მადლობა ვუთხრა „გუდიარს“ შესანიშნავი საბურავების მომზადებისთვის. მომავალი კვირის ტესტების შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო უკეთ ვირბოლებთ“.

„მაკლარენის“ ხელმძღვანელობაც და პილოტებიც რბოლის წინ ფრთხილობდნენ, ტრასის საფარს უჩიოდნენ, თუმცა კი გამარჯვების იმედს არ კარგავდნენ.

კვალიფიკაციაზე „მაკლარენმა“ ზედიზედ მესამე პოული მოიპოვა, მაგრამ მისი პილოტები ერთობ შეაწუხა ამინდის ჭირვეულობამ და ჭუჭყიანმა ტრასამ. ამჯერად სხვაობა „მაკლარენსა“ და მდევარს შორის უფრო მცირე იყო და რონ დენისი საინტერესო ორთაბრძოლას ელოდა.

რბოლა მართლაც რთული აღმოჩნდა გუნდისთვის. საბოლოოდ „მაკლარენმა“ 7 ქულა მოიპოვა და გუნდურ პირველობაში ლიდერობა შეინარჩუნა. მიკა ჰაკინენმა რბოლის შემდეგ განაცხადა, რომ მთელი უქმეები მოანდომა საკუთარი თავისა და ბოლიდის მოწესრიგებას და ამიტომ მეორე ადგილი შესანიშნავი შედეგია მისთვის. კულჰარდი მომხდარი ინციდენტით უკმაყოფილო გახლდათ და ჩიოდა, მართალია, ეს არ იყო ისეთი შეჯახება, როგორიც შარშან მოხდა „ხერესზე“ ჟაკსა და შუმის შორის, მაგრამ ასეთი რამ მაინც არ ეკადრება ფორმულა 1-სო. რონ დენისმა ასე შეაფასა ასპარეზობა: „არც ერთი ინციდენტის შედეგით არ გვისარგებლია. სრულიად მშვიდად ვარ, რადგან სწორი სარბოლო სტრატეგია შევარჩიეთ. წელიწადის ამ დროისთვის უჩვეულო სიგრილემ მეტოქეებს საშუალება მისცა, შეემცირებინათ ჩამორჩენა, მაგრამ წინ „იმოლაა“ და მეც იტალიური მზის იმედი მაქვს“.

რბოლის პერიპეტიებიდან გამომდინარე, ორივე გუნდი კმაყოფილია მიღწეულით და ობიექტურად აფასებს მომხდარს. „ფერარის“ მომავალი რბოლისთვის მიეცა სტიმული, „მაკლარენი“ კი, დასანანი მარცხის მიუხედავად, მშვიდადაა და სან მარინოს დიდ პრიზზე მეტოქესთან ანგარიშსწორებისთვის ემზადება. ყოველივე ეს კი 26 აპრილს საინტერესო სანახაობას უმზადებს ავტომოყვარულებს.

ალეკო ჭაბუკიანი


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

თბილისი, გუდიაშვილის 11, ტელ.: 99 47 53,
მობილური: 8 77 41 72 57; 8 77 41 72 37
e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ პოტხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვინტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29